გ. თუმანიანი

# კურორტი ცქალტუბო

გ. თუზბაია

# კუროროზი ცაიში



სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1960

გამომცემლობის რედაქტორი ნ. დოლიძე
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ნ. თავაძე, მ. მაღალაშვილი

***

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VIII-60 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 4.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 2,96. საავტორო
თაბახი 2,86.

უე 02099. ტირაჟი 1000. შეკვეთა № 1584

ფასი 1 მან. 80 კაპ.
ფასი 1961 წ. 1-ლი იანვრიდან 18 კაპ.

***

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2,
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

---

Типография № 2 Главного управления
издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Пурцеладзе
№ 5.

# წინასიტყვაობა

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს საკურორტო მომსახურება წარმოადგენს. კურორტებზე მკურნალობა და დასვენება მტკიცედ შევიდა ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში.

საბჭოთა ქვეყნის მრავალრიცხოვან კურორტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს სახელგანთქმული კურორტები — ბორჯომი, წყალტუბო, აბასთუმანი, გულრიფში, გაგრა და სხვ.

საქართველო მდიდარია ლამაზი ბუნებით, მთისა და ზღვის შეზავებული ჰავით, თვალწარმტაცი ტყეებითა და ხეობებით, მუდმივი თოვლით დაფარული მთებითა და მარადმწვანე მცენარეებით. მაგრამ აქ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საკურორტო საქმე თითქმის მივიწყებული იყო. იმ დროს არსებული თითო-ოროლა სანატორიუმი თუ დასასვენებელი სახლი მხოლოდ მდიდრებისათვის იყო ხელმისაწვდომი, მშრომელი მოსახლეობა კი სრულიად მოკლებული იყო კურორტულ მკურნალობასა და დასვენებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები და კურორტები მშრომელთა საკუთრება გახდა, დაიწყო საკურორტო საქმის აღმავლობა და განვითარება. ჩვენს ქვეყანაში განუხრელად ფართოვდება კურორტების ქსელი, შენდება მრავალი ახალი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, საბავშვო დაწესებულება და სხვ.

საყოველთაოდ ცნობილ და აღიარებულ კურორტებს ჩვენს რესპუბლიკაში შეემატა კიდევ ერთი ახალი კურორტი ცაიში, რომელ-

მაც თავისი ლამაზი ადგილმდებარეობით და ძვირფასი სამკურნალო წყლებით მოსახლეობის ფართო ფენების ყურადღება მიიპყრო და ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

კურორტი ცაიში გოგირდწყალბადიანი, მენჯ-მაცესტის ტიპის სამკურნალო წყლით უძველესი დროიდან იყო ცნობილი. 1951 წელს მას კიდევ ერთი ახალი სამკურნალო მინერალური (82,5° ტემპერატურის) წყალი შეემატა, რამაც დააჩქარა ამ კურორტის შემდგომი განვითარება.

ცაიში ახალგაზრდა კურორტია, მისი სამკურნალო ფაქტორების ბუნების, მათი მოქმედების მექანიზმისა და ეფექტურობის, მკურნალობის ჩვენებებისა და წინააღმდეგჩვენებების შესწავლა ჯერ კიდევ დასაწყის ფაზაზ და, ამდენად, ამ საკითხებზე არც სათანადო ლიტერატურა მოიპოვება.

ეს მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი, რომელიც კურორტზე მუშაობის ხუთი წლის გამოცდილებას ეყრდნობა, ვფიქრობთ, გარკვეულ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს, განსაკუთრებით კი ავადმყოფებს.

კურორტ ცაიშის შესახებ ამ ნაშრომის დაწერის დროს ვისარგებლეთ მედ. მეცნ. დოქტორის მ. ი. ნოდიას, ვ. ნ. სიჭინავასა და ა. მ. როგავას საქმიანი მითითებებითა და რჩევა-დარიგებით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მათ.

ავტორი

# მოკლე ისტორიული ცნობები

ცაიში, როგორც კურორტი მინერალური წყლებით უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამ მინერალურ წყლებს, მსგავსად ახლომდებარე კურორტების წყლებისა, „მენჯს“ უწოდებდნენ, რაც მნიშვნელობით ქართულ „ვეძას“* უდრის.

ცნობილი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ცაიშის მინერალური წყლები როგორც სამკურნალო საშუალება უძველესი დროიდანაა ცნობილი. „ჩაისს ძველად ერქვა ცაიში — ცაისი, დღეს ადგილობრივ მას უწოდებენ ცაიშს. ცაიში საყდარია სოფლის ცაისისა, რომლის ადგილმდებარეობა უუმშვენიერესია, მორთმულ-მორჭმული. აქ ძველად იყო სამკურნალო წყლები, რომელიც არჩენდა ბუგრს, მუწუკს...“**

როგორც ჩანს, აქ წინათ აბანოც ყოფილა. ამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ ცაიშის ერთ-ერთი მთავარი წყაროს ამოსვლის ადგილას 5—6 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილია აუზი, რომლის კედლები გათლილი ქვისაგანაა გაკეთებული, ხოლო ფსკერი პირამიდისებური ქვებითაა მოფენილი. ამ აუზში დღესაც ამოდის მინერალური წყალი და გამოყენებულია სამკურნალოდ.

ცაიშის მინერალური წყლების გამოსვლის ადგილებზე ხარობს ძელქვის უდიდესი ხეები, რომელთაგან ზოგიერთი, გადმოცემით, 500-ზე მეტი წლისა უნდა იყოს. გარშემო კი შედარებით ახალგაზრდა (200—300 წლის) ხეებია გაშენებული. ფიქრობენ, რომ ეს ხეები შემთხვევით არ დაურგავთ აქ, იგი ოდესღაც ჩამოუტანიათ

---

* ვ ე ძ ა—ძვ. ქართ. ტუტოვანი და მლაშე მინერალური წყალი.

** ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941 წ., გვ. 167.

და საგანგებოდ გაუშენებიათ, რომ ეს ადგილები ადვილად შესამჩნევი და მისაგნები ყოფილიყო.



ცაიშის მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ, გარდა ვახუშტი ბატონიშვილის ზემოაღნიშნული ცნობისა, სხვა უძველესი ცნობა არ მოგვეპოვება.

XX საუკუნის დასაწყისისათვის ამ წყლის ღირსებები ხალხს უკვე აღარ სცოდნია, როგორც ჩანს, იგი დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა. ადგილობრივი მცხოვრებნი ამჩნევდნენ მხოლოდ, რომ ამ წყალს სასმელად განსაკუთრებით ეტანებოდა პირუტყვი.

ამ პერიოდში ცაიშის მინერალურ წყალს ყურადღება მიაქცია იქ სტუმრად ჩასულმა მოქალაქე ჯაბა ჩხოლარიამ (რომელიც კარგად იცნობდა პიატიგორსკის მინერალური წყლების თვისებებს). ამან ეს წყალი ფერით, სუნით და გემოთი პიატიგორსკის მინერალურ წყლებს შეადარა და რადგან რევმატული დაავადებით იყო შეპყრობილი, დაიწყო აქ აბაზანების მიღება. რამდენიმე ხანში მკვეთრი გაუმჯობესება იგრძნო, რის შესახებაც ადგილობრივ პროვიზორ ილიკო მეუნარგიას უამბო; ამ უკანასკნელმა კი 1906 წ. მოსკოვის საექიმო სამმართველოს ქიმიურ ლაბორატორიაში გააკეთებინა ამ წყლის ანალიზი, საიდანაც გამოირკვა, რომ იგი შეიცავს გოგირდწყალბადს და მასში სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებათა დიდი მარაგია.

ეს ამბავი სწრაფად მოედო ახლომახლო სოფლების მოსახლეობას და დაიწყეს ამ წყლის სამკურნალოდ გამოყენება. ტერიტორიის კერძო მესაკუთრეებმა, ისარგებლეს რა ამ შემთხვევით, მოაწყვეს იქ პრიმიტიული სააბაზანო და საცხოვრებელი ბარაკები, რითაც კიდევ უფრო მიიზიდეს ავადმყოფები.

სწორედ ამ პერიოდში ზუგდიდის მაზრის ექიმი ი. მუჯირი დაინტერესდა ცაიშის წყაროთი და წყალი შესამოწმებლად გაგზავნა კავკასიის სამოქალაქო უწყების საექიმო სამმართველოს ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც ანალიზმა იგივე შედეგი დაადასტურა, რაც მოსკოვის საექიმო ქიმიურმა ლაბორატორიამ.

ამ დროიდან იწყება ცაიშის მინერალური წყლების ბაზაზე კურორტის გაშენებისათვის ზრუნვა.

პროვიზორი ი. მეუნარგია 1914 წლის 30 მაისს გაზეთ „ივერიაში“ წერს სტატიას „ცაიშის სამკურნალო მინერალური წყლების“ და აყენებს საკითხს კურორტის მოწყობის შესახებ.

გაზეთი „სამშობლო“ 1915 წლის 84-ე ნომერში წერდა: „არა ერთხელ დაწერილა სოფელ ცაიშის ბუნებრივ სიმდიდრე-სილამაზეზე, მართლაც, ამ სოფელს პირველი ადგილი უჭირავს მთელს ზუგდიდის მაზრაში როგორც საგარაკო, ისე შემოსავლიან ადგილს“.

მიუხედავად ამ აღიარებისა, კურორტის გაშენება-კეთილმოწყობისათვის იმ პერიოდში არავინ ზრუნავდა. ამ საქმეს ყურადღება მიექცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

აქ გაშენდა ხის საბაზანო შენობა, საცხოვრებელი სახლი, დაიდგა წყლის გასათბობი და საქაჩავი, გაიხსნა საექიმო პუნქტი და სხვ., მაგრამ მიუხედავად ამისა, ცაიში მაინც პრიმიტიულად მოწყობილი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტად დარჩა.

ცაიშის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების შესწავლა პირველად დაიწყო ექ. ი. მუჯირმა. 1924-დან 1955 წლამდე კი ამ კურორტზე განუწყვეტლივ მუშაობს ექიმი ა. როგავა და მის მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგები — საკმაოდ მდიდარი მასალა დაბეჭდილია ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ ფურცლებზე (№ 7—8, 1940 წ.). ამავე დროს ექ. ა. როგავას მიერ წაკითხულია მრავალი მოხსენება ექიმთა საზოგადოების სხდომებზე.

ცაიშში კეთილმოწყობილი კურორტის შექმნისათვის ამ პერიოდში არც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ზრუნავდნენ სათანადოდ, რის გამოც ფ. მახარაძე წერდა: „ცაიშის აბანოს მდებარეობა ხელს უწყობს იქ განვითარდეს ნამდვილი კურორტი. ჯერ ერთი კლიმატური მხრივ, მდებარეობა საუცხოოა და მასთან ერთად ცაიში ზედ რკინის გზასთან არის, მაგრამ ჯანსახკომიც სდუმს, თითქოს ეს მას არ ეხება“*.

1951 წელს გეოლოგიურ საძიებო სამუშაოების წარმოებისას ცაიშში აღმოჩენილ იქნა 82,5° ტემპერატურის რთული ქიმიური

---

* გაზეთი „კომუნისტი“, № 20 1932 წ.

შემადგენლობის მინერალური წყალი. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი კურორტის სწრაფად განვითარებას. იმავე წლის 10 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება კურორტ ცაიშის მშენებლობისათვის თანხების გამოყოფისა და პირველი რიგის სამუშაოების უახლოეს დროში დაწყების შესახებ. ამავე დროს შედგენილ იქნა მშენებლობის გენერალური გეგმა და ჩატარდა სათანადო სამუშაოები, რის შედეგადაც უახლოეს ხანში ჩვენს რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი კეთილმოწყობილი კურორტი ცაიში.

---

# ადგილმდებარეობა და კლიმატური დახასიათება

კურორტი ცაიში მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, მისი ცენტრიდან 10 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ჯუმის ხეობაში. აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით კურორტს აკრავს ურთას მთა, რომლის უმაღლესი მწვერვალი ზღვის დონიდან 464 მ სიმაღლეზე მდებარეობს; სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვისაკენ გადაშლილია კოლხეთის თვალუწვდენელი დაბლობი. ცაიში ზღვიდან 13 კილომეტრითაა დაშორებული და მას უკავშირდება სამანქანო გზით.

კურორტის რელიეფი მთაგორიანია, ზღვის დონიდან 80—250 მეტრის სიმაღლით, საიდანაც მოწმენდილ ამინდში კარგად მოჩანს შავი ზღვა და ქ. ფოთი.

კურორტს ესაზღვრება ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სოფელი ოქტომბერი, დიდინეძი და ხამისკური.

ცაიშიდან კურორტ მენჯამდე 40 კილომეტრია, წყალტუბომდე—120, ფოთამდე — 40, ქუთაისამდე — 110, სოხუმამდე — 115. ამ ქალაქებს კურორტი უკავშირდება მოასფალტებული სამანქანო გზებით. აღმოსავლეთით, ცაიშიდან 40 კილომეტრის დაშორებით იწყება სვანეთის თვალუწვდენელი მთები, საიდანაც კარგად მოჩანს მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები.

ცაიშის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ჯუმი, რომელიც ერთვის სამეგრელოში ყველაზე დიდ მდინარე ენგურს, სამხრეთით კი გადის ამიერკავკასიის რკინიგზა, უახლოესი სადგურია ცაცხვი (1 კილომეტრის დაშორებით). კურორტი ფართო გზატკეცილით (თბილისი—სოხუმი) უკავშირდება რაიონულ ცენტრს—ქ. ზუგდიდს.

ცაიშის გეოგრაფიული კოორდინატებია: ჩრდილოეთის განედის 42°25′4″, აღმოსავლეთის სიგრძედის 59°28′2″.



კურორტის ფლორა მრავალფეროვანია; აქ გვხვდება 400—500-წლოვანი, წარსული გეოლოგიური ეპოქის ხის ჯიში გიგანტი—მცენარე ძელქვა. ამ ჯიშის ხე მხოლოდ იაპონიასა და საქართველოშია შემორჩენილი, მაგრამ იმ ზომის ხეები, როგორიც კურორტ ცაიშშია, სხვაგან არსად არ გვხვდება (ზოგიერთი მათგანის დიამეტრი 1,5 და სიმაღლე 25 მეტრს აღწევს). აქ ხარობს აგრეთვე რცხილა, აკაცია, ევკალიპტი; ურთას მთის კალთები დაფარულია კეთილშობილი დაფნისა და ციტრუსების პლანტაციებით, ხოლო მის ზეგანზე გაშენებულია საცობის ხე, რომლის სამრეწველო ექსპლოატაცია უახლოეს ხანში დაიწყება.

კურორტის ტერიტორიაზე ხშირია ბუჩქნარი და ყვავილოვანი მცენარეები, როგორიცაა: კუნელი, ჩიტავაშლა, ივლი და სხვ. აქ მრავლადაა ხეხილი (ვაშლი, მსხალი, ატამი, ხურმა, ბალი, ლეღვი, ვაზი) და ბოსტნეული. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მისდევს მებაღეობა-მებოსტნეობას.

ცაიშში ჯერჯერობით არ არის გაშენებული პარკები, სკვერები, გაზონები და სხვ., მაგრამ კურორტის საერთო მშენებლობასთან ერთად გათვალისწინებულია მისი კეთილმოწყობა ამ მხრივაც.

კურორტი ცაიში შესანიშნავი მდებარეობით და ბუნებრივი სილამაზით შორიდანვე იპყრობს ყურადღებას. აი რას წერს მის შესახებ ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე: „განსაკუთრებით ჩამრჩა გონებაში სოფელ ცაიშის სანახაობა, მაღლა მიმავალი გზიდან რომ გადავცქეროდი დაბლა გაშლილ ცაიშის მწვანე მინდვრებს და დიდრონ ხეებს, ასე მეგონა, რაღაც ზღაპრულ ქვეყანას ვხედავ მეთქი“*...

ცაიშის ლამაზი და ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ძველთაგანვე იპყრობდა საზოგადოებრიობის ყურადღებას. როდესაც წამოიჭრა საკითხი (XIX ს. 70-იანი წ.) ქალაქ ზუგდიდის სხვაგან გა-

---

* ნ. ნ ა კ ა შ ი ძ ე, ,ოგონებები, საბლიტგამი, 1956 წ., გვ. 208.

დატანის შესახებ, ახალ ადგილად ცაიში აურჩევიათ. „...ამბობენ ზუგდიდიდან რვა ვერსტზედ, სამხრეთის მხარეს, სოფელ ცაიშში აპირებენ ქალაქის გაშენებას, რომელსაც დაერქმევა „ახალი ზუგდიდი“*. მაგრამ როგორც ცნობილია, ეს ღონისძიება არ განხორციელდა და ზუგდიდის ცენტრი იმავე ადგილზე დარჩა.

ნორმალური მკურნალობისა და დასვენებისათვის ცაიშში ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. ჰავა აქ თბილი და ტენიანია, დამახასიათებელი არ არის მკვეთრი მეტეოროლოგიური ცვლილებები და ნალექების სიუხვე. საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის + 14°-ს (გაზაფხულზე + 8°, + 12°; ზაფხულში + 22°, + 28°; შემოდგომაზე + 12°, + 14°; ზამთარში + 5°, + 6°). ზამთარი თბილი იცის, ნალექების საშუალო რაოდენობით; ყინვა იშვიათია —10—12 დღე წელიწადში (ტემპერატურის იშვიათად — 1—5°-მდე დაცემით), დანარჩენ დროს კი ტემპერატურა + 5°, + 7° ან ზოგიერთ შემთხვევაში + 13°, + 18°-მდეც კი ადის. თოვლი იშვიათად მოდის, დაახლოებით 10—15 დღე წელიწადში. წლის სხვა დროსთან შედარებით, ადრეული გაზაფხულისა და გვიანი შემოდგომისათვის დამახასიათებელია ნალექების მეტი რაოდენობა.

ზაფხული ზომიერია, ნალექების მცირე რაოდენობით, ტემპერატურა საშუალოდ + 22°, + 28°-ია; შემაწუხებელი სიცხე არ იცის, გარდა გამონაკლისი დღეებისა, როცა ტემპერატურა + 32°, + 37°-ს აღწევს. შემოდგომის პირველი ნახევარი თბილია (+ 12°, + 18°) და მშრალი, ნალექების მცირე რაოდენობით. შემდეგ კი ტემპერატურა თანდათან ეცემა (არაერთბაშად).

ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 1200—1400 მმ-ია, სეტყვა თითქმის არ იცის, წვიმიანი დღეების რაოდენობა 130—140 არ აღემატება, ხოლო მზის სხივოსნობა 2000—2200 საათია წელიწადში. საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა 80% აღწევს. დეკემბერ-მარტის თვეებში მოსალოდნელია აღმოსავლეთის მშრალი, ზომიერი, ზოგჯერ ძლიერი ქარი, რომელიც 1—2 დღე გრძელდება. საშუალოდ ასეთი დღეების რაოდენობა წელიწადში 12—16 აღწევს.

---

* გაზეთი „დროება“, 1870 წ.

საჭიროა ცაიშში მოეწყოს მეტეოროლოგიური სადგური მისი მიკროკლიმატის უფრო საფუძვლიანად შესწავლისათვის.

ხელშემწყობი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, დადებითი კლიმატური ფაქტორები და კურორტის პერსპექტიულობა საშუალებას იძლევა ცაიშის სამკურნალო ფაქტორების წლის ყველა დროში ეფექტურად გამოყენებისათვის.

---

# მინერალური წყლები

## ჰიდროლოგია

ზუგდიდის რაიონი კაინოზური ერის პირველ ნახევარში (მესამეული პერიოდი, რომლის ხანგრძლიობა 59 მილიონ წელს შეადგენს) ზღვით იყო დაფარული, რომელშიც მრავალი სახის თევზი და წვრილი ორგანიზმი არსებობდა. დროთა განმავლობაში ზღვის ფსკერზე ილექებოდა კირქვა, მერგელი, ქვიშაქვა და სხვ., რის გამოც დედამიწის ქერქი მაღლა იწევდა.

შემდეგ პერიოდში აუზი თანდათან შემცირდა, გაჩნდა მრავალი კუნძული, რომელთაგან ერთი—ცაიში—ეკის* ზოლზე მდებარეობდა. ხოლო როდესაც ზღვამ დასავლეთისაკენ გადაინაცვლა და მიწამ თანდათან მაღლა ამოიწია, კოლხეთის დაბლობი გაფართოვდა. ცაიშის მინერალური წყლები ეკის ზოლზე მდებარე ურთას მთაზე გამოდის სწორედ იქ, საიდანაც იწყება ეს დაბლობი.

ცაიშის „ძველი“ მინერალური წყლები ამოდის დედამიწის ნაპრალებიდან. მასში გოგირდწყალბადის არსებობა შედეგია სულფატების დაშლა-გახრწნისა, რაც უმთავრესად ნავთობის საბადოების სიახლოვით არის გამოწვეული.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია მინერალური სამკურნალო წყლებით; ხშირად გვხვდება არტეზიული (წნევიანი) წყლებიც.

ცხელი წყაროები (გეიზერები) არის ისლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტიბეტში, ახალ ზელანდიაში და სახალინზე. ასეთი წყაროები ჩვეულებრივ გამოდის კირქვის ან კვარცის ტუფების მკვრივი ფენებიდან.

გეიზერები საქართველოში არ არის; სამაგიეროდ საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად მრავალ ადგილას არის ხელოვნური „გეიზე-

---

* ეკა—ზეგანი ურთას მთაზე.

რი“, რომელიც ღრმა ბურღვითაა მიღებული; მაგალითად, ქვედა ცარცული ნალექების წყლიანი ჰორიზონტების ჭაბურღილებით გადაკვეთის შედეგად 700 მეტრის სიღრმიდან მიღებულ იქნა მაღალ-დებიტიანი ე. წ. ხელოვნური „გეიზერი“, რომლის ტემპერატურა ზედაპირზე 82,5°-ია და იგი მიეკუთვნება სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიანი ტიპის წყლებს. ამ წყლის ზედაპირზე ამოსვლა გამოწვეულია არა გაზური, არამედ ჰიდროსტატიკური წნევით.

ატმოსფერული წყლები ფორების გზით იჟონება წყალგამტარი ქანების ბუნებრივ გამოსასვლელებში ან ჩაედინება ქანების ნაპრალებში და მოძრაობს მისი დაქანების მიმართულებით. როდესაც ეს წყლიანი ჰორიზონტები ქვემოდან და ზემოდან განმხოლოებულია წყალგაუმტარი ფენებით, იქმნება ისეთი პირობები, რომ წყლით ივსება ქანების ფორები. წყლიან ჰორიზონტებში ზემოთ მდებარე წყლის სვეტის დაწოლის გამო წარმოიშვება წნევა, რის გამოც ზიარ-ჭურჭლების მსგავსად წყალი შრეებში მოძრაობას იწყებს ამომავალი წყაროების სახით. ეს მაშინ ხდება, როდესაც ჭაბურღილი წყლიანი ჰორიზონტის წნევიან არეში შევა, ხოლო ზედაპირზე ამოსვლის შემდეგ მისი შადრევანი წყლიან ჰორიზონტში წარმოშობილი ჰიდროსტატიკური წნევის შესაბამისი იქნება.

აღნიშნულ ზონაში ჩანაჟონი ატმოსფერული წყლები მოძრაობს სამხრეთისაკენ, დაბლობის მიწისქვეშა წყლიან ჰორიზონტებში წარმოშობს წნევას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ხელოვნური გეიზერის შექმნა. მიწისქვეშა წყლები ითვისებს იმ სითბოს, რომელიც აღნიშნული წყლების შემცველ ქანებს აქვთ. სიღრმიდან ზემოთკენ ამ წყლის ტემპერატურა, რასაკვირველია, თანდათანობით კლებულობს, მაგრამ ჩვენი ჭაბურღილის ვიწრო სავალი გზისა და მაღალი დებიტის გამო საწყისი ტემპერატურა თითქმის შენარჩუნებულია; ისინი სწრაფად ამოდიან ზედაპირზე და ცხელი წყაროების სახით გვევლინებიან.

## ქიმიური შემადგენლობა, დებიტი, გამოყენება

ცაიშში არსებობს ორი ტიპის მინერალური წყალი: 1. ცაიშის „ძველი“, მენჯ-მაცესტის ტიპის და 2. ცაიშის „ახალი“, ჰიპერთერ-

№ 2 ჭაბურღილის წყლის ჩანჩქერი.

მული 82,5° ტემპერატურის მქონე, სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიანი წყალი. ამჟამად ეს წყლები ფართოდაა გამოყენებული სამკურნალოდ.

ცაიშის „ძველი“, გოგირდწყალბადიანი (მენჯ-მაცესტის ტიპის) სამკურნალო მინერალური წყალი ამოდის დედამიწის ზედა ფენიდან და მისი დებიტიც მცირეა. ვარაუდობენ, რომ ღრმა ჭაბურღილების გაყვანით წყლის დებიტი გადიდდება და მთლიანად დააკმაყოფილებს კურორტის გაზრდილ მოთხოვნილებას.

ცაიშის „ძველ“ მინერალურ წყალს უძველესი დროიდანვე იყენებდნენ სამკურნალოდ და ის როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სამედიცინო საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა, რაც იქიდანაც დასტურდება, რომ ამ წყლის ქიმიური ანალიზი გაკეთდა 1906 წელს მოსკოვის ლაბორატორიაში, რომელშიც ნათქვამია: „წყლის სუნი მყრალია, გოგირდწყალბადიანი, გემო მარილიანი აქვს. რეაქცია ოდნავ ტუტოვანი. ერთ ლიტრ წყალზე მკვრივი ნაშთი უდრის 2,3399.

ერთი ლიტრი წყალი შემდეგ ნაწილებს შეიცავს:

| | | |
|---|---|---|
| $Cl'$ | 1,269 | გ |
| $SO'_3$ | 0,01243 | „ |
| $H_2S$ | 0,01634 | „ |
| $CO_2$ | 0,07608 | „ |
| $CaO$ | 0,07375 | „ |
| $MgO$ | 0,0225 | „ |
| $KCl$ | 0,1935 | „ |
| $NaCl$ | 1,94271 | „ |
| $SiO_2$ | 0,05300 | „ |
| $Fe_2O_3$ და $Al_2O_3$ | 0,01900 | „ |

დასაშვები შემადგენლობა წყლისა:

| | | |
|---|---|---|
| $NaCl$ | 1,94271 | გ |
| $KCl$ | 0,19330 | „ |
| $K_2SO_4$ | 0,00022 | „ |
| $CaSO_4$ | 0,02091 | „ |
| $CaCO_3$ | 0,11641 | „ |
| $MgCO_3$ | 0,04731 | „ |
| $Fe_2O_3$ და $Al_2O_3$ | 0,01900 | „ |
| გახსნილი სილიციუმის მჟავა | 0,05300 | „ |
| ამის გარდა წყალში გახსნილია | 0,01634 | გ $H_2S$ |

შედარება სხვა წყაროებთან:

| პიატიგორსკის თბილი გოგირდის წყალი № 1 | | ცაიშის წყარო | ესენტუკის ექიმი გააზის წყარო |
|---|---|---|---|
| მშრალი ნაშთი | 3,87200 | 2,3399 | 3,64800 |
| $K_2O$ | 0,07104 | 0,12210 | 0,02067 |
| $Na_2O$ | 1,30034 | 1,02980 | 1,35873 |
| $MgO$ | 0,10408 | 0,02250 | 0,00162 |
| $CaO$ | 0,4104 | 0,07375 | 0,71641 |
| $Fe_2O_3$, $Al_2O_3$ | 0,0000 | 0,1900 | 0,00489 |
| $SiO_2$ | 0,05320 | 0,05300 | 0,00612 |
| $Cl$ | 0,95540 | 0,26900 | 0,46469 |
| $H_2S$ | 0,00 | 0,01634 | 0,00891 |
| $SO_3$ | 0,68668 | 0,01243 | 0,89592 |
| $CO_2$ | 0,41907 | 0,07608 | 0,50693 |

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასისტენტი სერგო ლეონიდეს ძე ივანოვი".

ამავე წყლის ქიმიური ანალიზი 1914 წელს გაკეთდა კავკასიის საექიმო სამმართველოს ლაბორატორიაში. შემოწმების შედეგები ასეთია: „წყალი სრულიად გამჭვირვალეა, უფერო, ასდის გოგირდწყალბადის სუნი, რეაქცია ოდნავ ტუტოვანია; ცაიშის წყარო ეკუთვნის გოგირდის წყლების ჯგუფს, რომელიც საგრძნობლად შეიცავს სუფრის მარილს. 10 მარტი, 1914 წელი, № 36, რ. კუპცისი".

1956 წელს ცაიშის წყლის ქიმიური ანალიზი გაკეთებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რაზმაძის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში.

ამ ანალიზის შედეგები მოცემულია ქვემომოყვანილ ცხრილში (ცხრილი 1).

1956 წელს ცაიშის „ძველი" მინერალური წყაროების რაიონიდან 700 მეტრის დაშორებით ღრმა ჭაბურღილიდან (725 მეტრი) მიღებულ იქნა ახალი ტიპის ცხელი მინერალური წყლის შადრევანი (82,5° ტემპერატურის) 1,5 მილილიტრი სადღეღამისო დებიტით.

1952 წელს ამ ჭაბურღილიდან 1,5 კილომეტრის დაშორებით ურთას მთის კალთებზე გაყვანილ იქნა მეორე ჭაბურღილი და 830 მ სიღრმიდან მიღებულ იქნა ისეთივე წყალი 83° ტემპერატურისა და 1,6 მილიონი ლიტრი სადღეღამისო დებიტით. ამრიგად, ორი-

| იონები | მგ ლიტრში | მგ ეკვივალენტი | მგ ეკვივალენტი პროცენტში |
|---|---|---|---|
| **კათიონები** | | | |
| $\dot{Na}+K$ | 844,56 | 36,72 | 91,34 |
| $\ddot{Ca}$ | 45,57 | 2,28 | 5,67 |
| $\ddot{Mg}$ | 14,58 | 1,20 | 2,99 |
| | | 40,20 | 100,00 |
| **ანიონები** | | | |
| $Cl'$ | 1109,9 | 31,3 | 77,86 |
| $SO_4''$ | 71,19 | 1,48 | 3,68 |
| $HCO_3''$ | 390,4 | 6,4 | 15,92 |
| $SiO_3$ | 38,94 | 1,02 | 2,54 |
| | | 40,20 | 100,00 |

ფენოლი—1 . . . . . 3,40
გოგირდწყალბადი—$H_2S$ . 17,0
მკვრივი ნაშთი . . . . . 2336,7

კურლოვის ფორმულა $H_2S$ 0,017 M 2,33 $\frac{Cl'\ 77\ HCO'_3\ 15}{Na'+K'\ 91}$ t 24°.

ვე წყლის დებიტი დღე-ღამეში სამ მილიონ ლიტრს აღემატება. ეს წყლები ეკუთვნის გაზოვან აზოტოვან-მეთანოვან ჰიპერთერმულ წყლებს გოგირდწყალბადის მცირე რაოდენობის შეცულობით. იგი სხვა მინერალური წყლებისაგან განსხვავდება მეტად რთული ქიმიური შემადგენლობით, უახლოვდება წყალტუბოს მინერალურ წყლებს, განსხვავდება მათგან მაღალი ტემპერატურით, შედარებით მეტი მინერალიზაციით და მასში იოდისა და სილიციუმ-მჟავას არსებობით.

ცაიშის ეს მინერალური წყალი ეკუთვნის ჰიპერთერმულ რადიოაქტიურ სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-კალციუმ-ნატრიუმ-მაგნიუმ-გოგირდწყალბადიან წყლებს. კათიონებიდან სჭარბობს ნატრიუმი და კალციუმი, ანიონებიდან — სულფატ-ქლორი და ჰიდროკარბონატი. ამ წყალში არ შედის ძლიერ მოქმედი ტოქსიკური ელემენტები, რაც მისი სამკურნალო თვისებების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ჰიპერთერმული № 1 ჭაბურღილის წყლის ქიმიური ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:

| ი ო ნ ე ბ ი | მგ ლიტრში | მგ ეკვივალენტი | მგ ეკვივალენტი პროცენტში |
|---|---|---|---|
| **კათიონები** | | | |
| Am | 0,0010 | 0,055 | 0,22 |
| K | 0,0120 | 0,307 | 1,26 |
| Na | 0,2105 | 9,150 | 37,48 |
| Mg | 0,0375 | 3,083 | 12,63 |
| Ca | 0,2350 | 11,750 | 48,12 |
| Fe | 0,0020 | 0,071 | 0,29 |
| | | 24,416 | 100,00 |
| **ანიონები** | | | |
| Cl′ | 0,2822 | 7,950 | 32,38 |
| Br′ | 0,0015 | 0,018 | 0,07 |
| I′ | 0,0001 | 0,001 | — |
| $SO_4''$ | 0,6501 | 13,543 | 55,15 |
| HS′ | 0,0030 | 0,091 | 0,38 |
| $HCO_3$ | 0,1800 | 2,950 | 12,02 |
| | | 24,553 | 100,000 |

ალუმინის ჟანგეული—$Al_2O_3$ . . . . . 0,0020
სილიციუმის მჟავა—$H_2SiO_3$ . . . . . 0,0682
საერთო მინერალიზაცია . . . . . 1,6851
თავისუფალი გოგირდწყალბადი—$H_2S$ 0,0050

კურლოვის ფორმულა $H_2S$ 0,005 M 1,7 $\frac{SO_4''\ 55\ Cl'\ 32\ Mg\ 12}{Ca''\ 48\ Na'\ 37\ HCO_3\ 12}$ t 82,5°.

ანალიზი ჩატარებულია 10/II 1952 წელს ანალიტიკოს ულუხანოვის მიერ.

1958 წ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გაზების ბიოქიმიის ლაბორატორიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგი ასეთია:

| ცდის დასახელება | შემადგენლობა % მოცულობის მიხედვით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | $CO_2$ და სხვა მჟავე გაზები | $O_2$ | $H_2$ | CO | $CH_4$ + მძიმე გაზები | $N_2$ + იშვიათი გაზები |
| ცაიშის „ახალი“ № 1 ჭაბურღილის წყლის t 83°, ჰაერის t 27° . . . . . | 32,8 | 2,0 | 0,0 | 0,0 | 2,6 | 62,6 |
| pH—7,2 აღებულია 25/VIII 1958 წ. . . . . | 36,2 | — | — | — | 2,9 | 60,9 |

ამრიგად, ეს წყალი შეიცავს ნახშირმჟავა გაზს და აზოტს, რომელიც მისი ქიმიური შემადგენლობის მეტად მნიშვნელოვანი სამკურნალო ფაქტორია.



პროფ. ა. რ. კირიჩინსკის გამოკვლევით, აზოტის გაზი დადებითად მოქმედებს საყრდენ-სამოძრაო ორგანოების დაავადებებისა და ტრავმების, პერიფერიული ნერვული სისტემის და ზოგიერთ სხვა დაავადებათა შემთხვევაში; ამიტომ ამ მინერალურ წყალში მისი არსებობა უფრო სრულყოფილს ხდის მის სამკურნალო ეფექტურობას.

ჰიპერთერმული წყლის აღმოჩენის შემდეგ სისტემატურად ტარდება დაკვირვება ცაიშის წყაროების ქიმიურ შემადგენლობაზე და გამოირკვა, რომ 7 წლის განმავლობაში შემადგენლობის, ტემპერატურისა და დებიტის მხრივ ამ წყლებს ცვლილება არ განუცდია.

ცაიშის „ახალი“ ჰიპერთერმული წყლის სხვა მინერალურ წყლებთან შედარების შედეგები მოყვანილია მე-2 ცხრილში.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ცაიშის „ახალი“ მინერალური წყალი ეკუთვნის რთული ქიმიური შემადგენლობის მინერალურ წყლებს, რომელსაც სამკურნალოდ გამოყენების ფართო პერსპექტივა აქვს.

გარდა აღნიშნული წყაროებისა, ცაიშში (ურთას მთის კალთებზე) არსებობს მინერალური წყალი, რომელშიც გოგირდწყალბადის რაოდენობა 100 მილიგრამამდეა ლიტრში. აქ არის აგრეთვე „სოდიანი წყალი“, „კუჭის წყალი“ და „ცივი აბანო“. ამ უკანასკნელის ტემპერატურა ზაფხულში +5°, +6°-ია და იგი ამჟამად გამოჰყავთ კურორტზე როგორც სასმელი და ტექნიკური წყალი.

საჭიროა ცაიშის ამ მინერალური წყლების საფუძვლიანი შესწავლა და სამკურნალო მიზნით მათი გამოყენების დანერგვა.

ცაიშის „ძველი“ მინერალური წყლების ამოსვლის რაიონში (რომლის ტერიტორია თითქმის ერთ ჰექტარამდეა) 2—3 მეტრის სიღრმეზე მიწის ფენა კუპრისფრადაა შეღებილი. ავადმყოფები მას ძველი დროიდანვე იყენებდნენ როგორც სამკურნალო ტალახს. ეს ტალახი კონსისტენციით რბილია, აქვს გოგირდის სუნი. ასეთი ტალახით უმთავრესად მდიდარია ის ადგილები, სადაც მინერალური წყლები ამოდის. ქიმიური ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ იგი

| | ცაიშის ჰიპერთერმული წყალი | | | წყალტუბოს № 1 წყარო | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გ/ლ | მგ (ეკვ) ლ | მგ (ეკვ) % | გ/ლ | მგ (ეკვ) ლ | მგ (ეკვ) % |
| Na | 0,2105 | 9,150 | 37,48 | 0,0396 | 1,72 | 15,47 |
| K | 0,0120 | 0,307 | 1,26 | + | + | + |
| Am | 0,0010 | 0,055 | 0,22 | — | — | — |
| Mg | 0,0375 | 3,083 | 12,63 | 0,0341 | 2,80 | 25,18 |
| Ca | 0,2350 | 11,750 | 48,12 | 0,1320 | 6,60 | 59,35 |
| Fe | 0,0020 | 0,071 | 0,29 | — | — | — |
| | | 24,416 | 100.000 | — | 11,12 | 100.000 |
| Cl | 0,2822 | 7,950 | 32,38 | 0,1022 | 2,87 | 25,81 |
| Br | 0,0015 | 0,018 | 0,07 | — | — | — |
| I | 0,0001 | 0,001 | — | 0,00001 | — | — |
| $SO_4$ | 0,6501 | 13,543 | 55,15 | 0,2188 | 4,55 | 40,91 |
| HS | 0,0030 | 0,091 | 0,38 | — | — | — |
| $HCO_3$ | 0,1800 | 2,950 | 12,02 | 0,2318 | 3,70 | 33,28 |
| | | 24,553 | 100.000 | | 11,12 | 100.000 |
| $SiO_2$ | 0,0530 | | | 0,0220 | | |
| $H_2S$ | 0,0050 | | | | | |
| $H_2SiO_3$ | 0,0682 | | | | | 0,0555 |
| $Al_2O_3$ | 0,0020 | | | | | |
| საერთო მინერალიზაცია | 1,6851 | | | 0,7812 | | |

ცაიში $H_2S_{0,008}$ $M_{1,7}$ $\frac{SO_4''\ 55\ Cl'\ 32\ HCO_3'\ 12}{Ca''\ 48\ Na'\ 37\ Mg''\ 12}$ t 82,5° C d=1,5 მილიონი ლიტ-
pH=7,2.

წყალტუბო $M_{0,78}$ $\frac{SO_4''\ 40\ Cl'\ 25\ HCO_3'\ 34}{Ca''\ 59\ Mg''\ 25\ Na'\ 15}$ t 35°C pH=7,13.

**რება სხვა მინერალურ წყლებთან**

| მენჯის წყალი | | | მაცესტის წყალი | | |
|---|---|---|---|---|---|
| გ/ლ | მგ (ეკვ)ლ | მგ (ეკვ)% | გ/ლ | მგ (ეკვ)ლ | მგ (ეკვ)% |
| 4,7660 | 207,244 | 89,70 | 3,8240 | 166,28 | 76,70 |
| 0,2020 | 5,166 | 2,23 | 0,1794 | 4,59 | 2,10 |
| 0,0025 | 0,138 | 0,06 | 0,0101 | 0,56 | 0,30 |
| 0,1110 | 9,128 | 3,95 | 0,2014 | 16,56 | 7,60 |
| 0,1836 | 9,162 | 3,97 | 0,5771 | 28,80 | 13,30 |
| 0,0054 | 0,193 | 0,09 | — | — | — |
| | 231,031 | 100 | — | 216,79 | 100 |
| 7,8898 | 222,500 | 96,31 | 7,3060 | 206,03 | 95,03 |
| 0,0125 | 0,156 | 0,06 | 0,0222 | 0,28 | 0,13 |
| 0,0020 | 0,016 | 0,01 | 0,0011 | 0,01 | — |
| 0,0032 | 0,066 | 0,03 | 0,0034 | 0,07 | 0,03 |
| 0,0300 | 0,907 | 0,39 | 0,1107 | 3,35 | 1,60 |
| 0,4495 | 7,367 | 3,19 | 0,4285 | 7,02 | 3,20 |
| 0,0610 | | | 0,2697 | | |
| 0,0296 | | | 0,1557 | | |
| 0,0062 | | | 0,0148 | | |
| 13,3 | | | 12,7 | | |

მენჯი $H_2S_{0,061}$ $M_{13,3}$ $\frac{Cl' 96}{Na' 90}$ t 21,7°.

მაცესტა $H_2S_{0,156}$ $M_{12,7}$ $\frac{Cl' 59\ Ca'' 13}{Na' 77}$ t 26,4°.

შეიცავს მთელ რიგ ნივთიერებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამკურნალოდ. საჭიროა მისი უფრო ზუსტი ანალიზი და ტალახის მარაგის გარკვევა, რომ მკურნალობის კომპლექსში ეს საშუალებაც სათანადოდ იქნეს გამოყენებული.

ამჟამად სამკურნალოდ გამოყენებულია № 1 ჭაბურღილის წყალი, რომელიც თვითდინებით მიდის პრიმიტიულად მოწყობილ სააბაზანომდე, სადაც იგი გროვდება აუზებში და აქედან კი ნაწილდება აბაზანებში.

ჰიპერთერმული წყლის გაცივების საკითხი დღემდე არაა სათანადოდ დამუშავებული. პირველ ხანებში იგი აუზებში ისხმებოდა და წყალსაქაჩავი დანადგარებით წარმოქმნილი შადრევნების საშუალებით ცივდებოდა.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება ტექნიკურად ძნელია და სამედიცინო თვალსაზრისით მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ, ვინაიდან რამდენიმე საათის განმავლობაში ასეთი ჭავლებით მინერალური წყლის ტრიალის შედეგად მასში მყოფი გაზოვანი ნივთიერებანი და გოგირდწყალბადი ქროლდება.

ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა ჰიპერთერმული წყლის გაცივების შემდეგი მეთოდი: № 1 ჭაბურღილიდან სააბაზანომდე მინერალური წყალი რკინის მილებით გამოყვანილ იქნა მდინარე ჯუმის ფსკერზე გავლით. გაივლის რა ამ მანძილს (1 კილომეტრი), 15 წუთის განმავლობაში: 82,5° ტემპერატურის მქონე წყალი ცივდება 15—20 გრადუსამდე, სააბაზანოში კი ხდება მისი ასეთივე ცხელი წყლით განზავება სასურველ ტემპერატურამდე. ამიტომ ამ წყლის ქიმიური შემადგენლობა აბაზანაში თითქმის უცვლელია საწყის მდგომარეობასთან შედარებით.

კურორტზე მთელ რიგ დაავადებათა (გულ-სისხლძარღვთა, სახსრების, გინეკოლოგიური, პერიფერიული ნერვული სისტემის) სამკურნალოდ გამოიყენება ცაიშის „ძველი“ და „ახალი“ წყლები ერთიმეორეში შერეული სახით.

ვინაიდან ცაიშის „ძველი“ წყლის ტემპერატურა 22—25°-ია, ხოლო გათბობა უარყოფითად მოქმედებს წყლის შემადგენლობაზე, ამიტომ მასში ჰიპერთერმული მინერალური წყლის შერევით შეგვიძლია მათი შემადგენლობა შევინარჩუნოთ უცვლელად და

შევავსოთ ურთიერთში შემავალი ნივთიერებებით, რაც უფრო რთულსა და სრულყოფილს გახდის მის შემადგენლობას.

ცაიშის „ძველი“ გოგირდწყალბადიანი წყალი მისი სუფთა სახით გამოყენებისათვის შეიძლება გავათბოთ ჰიპერთერმული წყლის აუზში მისი მილების გატარების გზით. ეს საშუალება მარტივია და შემადგენლობის შენარჩუნების თვალსაზრისით ხელსაყრელი.

ამრიგად, ორივე ამ მინერალური წყლის სამკურნალოდ გამოყენებისათვის როგორც გაცივების, ასევე გათბობის საქმე სრულიად მარტივია და ხელმისაწვდომი.

---

# სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის შედეგები

თერმული და ჰიპერთერმული წყლები მსოფლიოში მრავალ ადგილას გვხვდება, მაგრამ ყველა ასეთი წყალი როდი გამოდგება სამკურნალო მიზნით. სამკურნალო თვისებები მხოლოდ იმ წყალს გააჩნია, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ დაავადების შემთხვევაში ორგანიზმზე დადებითად მოქმედ რთულ ქიმიურ ელემენტებს.

ცაიშის მინერალურ წყლებში გოგირდწყალბადის, კალციუმის, კალიუმის, ნატრიუმის, ქლორის, გოგირდის, მაგნიუმის, სილიციუმმჟავას და სხვა ელემენტების არსებობა განსაზღვრავს მათს მაღალ სამკურნალო თვისებებს მთელ რიგ დაავადებათა დროს.

როგორც ყველა სხვა ბალნეოლოგიური კურორტის, ასევე ცაიშის მინერალური წყლების მოქმედება დამოკიდებულია ავადმყოფის ნერვული სისტემის მდგომარეობაზე, დაავადების სიმძიმეზე, ფორმასა და სტადიაზე, სქესზე, ასაკზე და სხვ.

შემჩნეულია, რომ ჰიპერთერმული ან ნაერთი წყლის აბაზანების მიღების შედეგად ხშირად ავადმყოფებს აღენიშნებათ კანის სიწითლე, რომელიც 10—15 წუთის შემდეგ ქრება.

5—6 აბაზანის მიღების შემდეგ შემთხვევათა 30—35%ში ავადმყოფებს აღენიშნებათ ე. წ. „სააბაზანო რეაქციები“ — დაღლილობა, თავის ტკივილი, გულის არეში სიმძიმის შეგრძნება, სახსრების ტკივილის გაძლიერება. ამ დროს აბაზანების შეწყვეტა არ არის საჭირო; ყველა ეს მოვლენა 8—9 აბაზანის შემდეგ სრულიად ქრება.

ექიმი ა. როგავა, რომელიც 30 წლის განმავლობაში მუშაობდა ამ კურორტზე, გადმოგვცემს, რომ ავადმყოფები, რომლებსაც სრულიად არ შეეძლოთ სიარული ან დადიოდნენ ყავარჯნებით, აქ ჩა-

ტარებული მკურნალობის შედეგად უჯოხოდ, მკვეთრად გაუმჯობესებული მდგომარეობით ბრუნდებოდნენ უკან.

ამ წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ ა. ოროგავას-მიერ მრავალი მოხსენებაა წარდგენილი კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; გამოქვეყნებულია წერილები ადგილობრივი პრესისა და ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ ფურცლებზე.

ცაიშის „ახალი“ ჰიპერთერმული წყლის აღმოჩენის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ამ კურორტისადმი ინტერესი. ამჟამად სამკურნალოდ აქ ჩამოსულ ავადმყოფთა რიცხვმა დიდ მაჩვენებლებს მიაღწია, რომელთაგან 52%-ს სამოძრაო ორგანოთა სისტემის დაავადებით შეპყრობილები შეადგენენ.

სამოძრაო ორგანოთა სისტემის დაავადებებიდან გვხვდება რევმატული, ინფექციური, დისტროფიული, ტრავმული და სახსრების სხვა სახის დაავადებანი.

ამ ჯგუფის ავადმყოფებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახსრების ქრონიკული რევმატიზმით დაავადებულებს.

ცნობილია, რომ სახსრების დაავადებანი საკმაოდ გავრცელებულია ყველა ქვეყნის ხალხთა შორის და იგი მნიშვნელოვნად აქვეითებს ან სრულიად უსპობს ადამიანს შრომის უნარს, ამიტომ ამ დაავადების მკურნალობა თანამედროვე მედიცინის მეტად საინტერესო და აქტუალური საკითხია.

რევმატული პოლიართრიტი (სოკოლსკი-ბუიოს დაავადება) ერთ-ერთი კლინიკური გამოვლინებაა საერთო ინფექციურ-ალერგიული დაავადებისა, რომლის დროსაც რევმატიზმის კლინიკურ სურათში გულის დაზიანებასთან ერთად შეიძლება გამოვლინდეს სახსრების დაავადების მოვლენები.

სახსრების დაავადება შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ინფექციის (გონორეა, ბრუცელოზი, დიზენტერია, ტიფი, ათაშანგი, გრიპი, ანგინა, სეფსისი) შედეგად. ხშირად ინფექციური ართრიტების ეტიოლოგია გაურკვეველია; ამ შემთხვევაში იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს სპეციფიკურ კეროვან ინფექციასთან (ნუშისებრი ჯირკვლები, კბილები) ან კერა უცნობია.

ინფექციური აგენტით გამოწვეული პოლიართრიტების შემთხვევაში სახსრებში სწრაფად ვითარდება დეფორმაცია და ხდება

მოძრაობის შეზღუდვა, რის გამოც ავადმყოფთა გარკვეულ პროცენტს ეკარგება შრომის უნარი. ამიტომ ქრონიკული ინფექციური არასპეციფიკური პოლიართრიტების მკურნალობის დროს უნდა გავითვალისწინოთ პირველ რიგში ამ აგენტის გამოვლინება და მისი მედიკამენტური და ფიზიოთერაპიული საშუალებებით მკურნალობა (პენიცილინით, ინჰალაციით, ულტრამაღალი სიხშირის დენით, რენტგენით).

ცაიშის მინერალური წყლების აბაზანებით ჩატარებული მკურნალობა დადებით შედეგებს იძლევა დისტროფიული (ართროზები, სპონდილოზები, პოდაგრა, კლიმაქსური ართრიტების) და ტრავმული ართრიტების შემთხვევაში.

ნივთიერებათა ცვლის მოშლა უმთავრესად გამოიხატება დისტროფიული ცვლილებებით სახსრებში, მყესებში და მათ ახლომდებარე კუნთებში; ვინაიდან ნივთიერებათა ცვლის მოშლა ხდება მთელ ორგანიზმში, ამიტომ ჩატარებული მკურნალობის (აბაზანები, ფიზიოპროცედურები, სათანადო კვება, დასვენება) შედეგად ძლიერდება ძირითადი ცვლა და ნორმალიზდება ორგანიზმში ჟანგვა-აღდგენითი პროცესები.

სახსრების დაავადებათა შემთხვევაში პათოლოგიური მოვლენები შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით: ზოგიერთ ავადმყოფს აწუხებს სახსრების ტკივილი და ტეხვა, ზოგიერთებს ხრაშუნი ან სახსრების მიდამოს შესივება და ა. შ.

სახსრების ზემოაღნიშნულ დაავადებათა სამკურნალოდ გამოყენებული იყო აბაზანები ცაიშის „ძველი“ და „ახალი“ მინერალური წყლების ნარევით. ამ აბაზანების გავლენით უმჯობესდება ავადმყოფის საერთო მდგომარეობა. ავადმყოფთა უმრავლესობას ქრონიკული პოლიართრიტებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სახსრების ტკივილი, მოძრაობის შეზღუდვა, სახსრების შესივება, ხრაშუნი და სხვა მოვლენები საგრძნობლად შეუმცირდა ან სრულიად გაუქრა. ასევე მცირდება ან ქრება კიდურებში სიცივის შეგრძნება, ოფლიანობა და ამინდის ცვლილებასთან დაკავშირებული მგრძნობელობა; ძილი ხდება მშვიდი და ხანგრძლივი, ავადმყოფის გუნებგანწყობა მკვეთრად უმჯობესდება.

ამ წყლების გავლენით ერითროციტების დალექვის რეაქცია

პირველი პრიმიტიული საბაზანო კურორტ ცაიშში.

კურორტი ცაიში (საერთო ხედი).

ნელდება, რაც მიუთითებს სახსრებში ანთებითი პროცესების შემცირებაზე.



ცნობილია, რომ სახსრების (ინფექციური, რევმატული, დისტროფიული) დაავადებისას ავადმყოფებს აღენიშნებათ ნერვული სისტემის აწეული აგზნებადობა. ციაშის მინერალური წყლების გავლენით კი იცვლება ნერვული სისტემის ფუნქცია, იგი იწყებს ნორმალიზებას, აგზნებადობა მკვეთრად მცირდება, რის შედეგადაც უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა, მისი გაძლიერება კი ხელს უწყობს დაავადებულ სახსრებში გამონაჟონის შეწოვასა და პათოლოგიური პროცესის უკუგანვითარებას.

ამრიგად, სახსრების სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობა ციაშის მინერალური წყლების ზეგავლენით იწვევს ავადმყოფთა მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას — მატულობს ან უბრუნდებათ დაქვეითებული ან დაკარგული შრომისუნარიანობა. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ 1955—1958 წწ. მასალების ანალიზი, რომლითაც ირკვევა, რომ ამ ჯგუფის ავადმყოფთა 58,6% გაეწერა მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში, 35,8% — გაუმჯობესებულ მდგომარეობაში, უცვლელად — 5,2%; დაავადების გამწვავება აღინიშნა მხოლოდ 0,4%-ში.

რევმატიზმი არის დაავადება, რომელიც აზიანებს მთელ ორგანიზმს და უმთავრესად მის მეზენქიმურ წარმონაქმნებს. რევმატიზმი როგორც ორგანიზმის საერთო ინფექციურ-ალერგიული დაავადება, მოქმედებს არა მარტო სახსრებზე, კუნთებზე და ნერვულ სისტემაზე, არამედ იგი ძირითადად აზიანებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას (რაც ჯერ კიდევ 100 წლის წინათ დაადგინეს სოკოლსკიმ და ბუიომ) და იწვევს მისი შინაგანი გარსის (ენდოკარდიუმის), კუნთის (მიოკარდიუმის) ან გარეთა გარსის (პერიკარდიუმის) დაზიანებას, ხშირად სისხლძარღვთა ნერვული რეგულაციის მოშლასაც.

დაკვირვებით დადგენილია, რომ რევმატიზმის განვითარებაში, გარდა ინფექციური (სტრეპტოკოკი) აგენტისა, მნიშვნელობა აქვს ცალკეულ პირთა რეაქტიულობას, მათს ინდივიდუალურ აწეულ მგრძნობელობას ნაკლებ ვირულენტური მიკრობებისადმი (კონჩალოვსკი), უმაღლესი ნერვული მოქმედების, კერძოდ თავის ტვინის ქერქის აგზნებადობის დაქვეითებას და ქერქქვეშა ცენტრებისა და ვეგეტატიური ნერვული სისტემის აგზნებადობის აწევას (ლეპონ-

სკი, ჩერნორუცკი). რევმატიზმს აკუთვნებენ ინფექციურ ნეიროგენულ დაავადებას, როცა ავადდება უმთავრესად უმაღლესი ნერვული მოქმედების სუსტი ტიპები (ნესტეროვი).

ხშირად გულის რევმატული დაზიანება უცნობია თვით ავადმყოფისათვისაც, იგი მხოლოდ კლინიკური შემოწმების დროს ვლინდება; ანდა ზოგჯერ ავადმყოფი არ აქცევს ყურადღებას გულის მხრივ ჯერ კიდევ მცირე ცვლილებებს, რადგან მას უფრო მეტად სახსრების ტკივილი აწუხებს. ამ ჯგუფის ავადმყოფთა მკურნალობის დროს გვიხდება არა მარტო სახსრების, არამედ გულის დაავადებათა მკურნალობაც.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, რომლის ეტიოლოგია და პათოგენეზი რთული და მრავალმხრივია. ეს დაავადება მიმდინარეობს ხანგრძლივად და მას ავადმყოფი მიჰყავს მყარ ინვალიდობამდე. ამიტომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა როგორც მეცნიერ მუშაკების, ასევე პრაქტიკოს ექიმთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ცნობილია, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა კურორტული მკურნალობა საკმაოდ დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს და იგი წარმოადგენს არა მარტო სამკურნალო, არამედ პროფილაქტიკურ ღონისძიებასაც.

მთელი რიგი ავტორების მიერ ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად დადგენილია, რომ წყალტუბოს, მაცესტის, მენჯისა და სხვა კურორტების მინერალური წყლები დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მთელ რიგ დაავადებათა შემთხვევაში (ვალედინსკი, ნესტეროვი, ჩერნორუცკი, შიხოვი, გერსამია, წითლანაძე). სხვა მსგავსი წყლების ანალოგიურად, ცაიშის მინერალური წყლების მოქმედება დადებითი აღმოჩნდა ამ სისტემის ზოგიერთ დაავადებათა მკურნალობის შემთხვევაში.

მ. ნოდიას, შ. ფარჯანაძის, მ. დგებუაძის, კ. მეუნარგიას, თ. ბოხუას და სხვათა დაკვირვებებით დადგენილია, რომ ცაიშის მინერალური წყლების აბაზანების ზეგავლენით ფართოვდება და მატულობს კაპილარების რიცხვი, გულის შეკუმშვათა რიცხვი მცირდება შესაბამისად პულსის შემცირებასთან ერთად, არტერიული წნე-

ვა კლებულობს, ძლიერდება კანის ჰიპერემია და ამრიგად იქმნება გულის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ხელსაყრელი პირობები.

1955—1958 წწ. გულის დაავადებით კურორტზე გატარებულია 941 ავადმყოფი (მიოკარდიტი, კარდიოსკლეროზი, სარქვლების მანკი), რომელთაც კომპენსაცია შენარჩუნებული ან მსუბუქად დარღვეული ჰქონდათ.

ამ ჯგუფის ავადმყოფებს უტარდებოდათ მკურნალობა ცაიშის ორივე წყლის შენარევით, პირველი ორი-სამი აბაზანა დღეგამოშვებით, ხოლო შემდეგ თითო აბაზანა მე-6—7 დღეზე შესვენებით, ტემპერატურა 34—37°, აბაზანის ხანგრძლიობა 8—15 წუთი, მკურნალობის კურსზე სულ 13—17 აბაზანა.

აბაზანების გავლენით მივიღეთ ავადმყოფის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მდგომარეობის გაუმჯობესება: ქოშინი, თავბრუ, გულის ფრიალი, ტკივილი გულის არეში მცირდება ან ქრება, ტონები უფრო სუფთა ხდება, პულსი ნელდება, უმჯობესდება ავადმყოფის თვითგრძნობა, გუნებგანწყობა; ძილი ხდება ნორმალური. ავადმყოფის საერთო მდგომარეობის შესამჩნევ გაუმჯობესებასთან ერთად აღინიშნება შრომისუნარიანობის მკვეთრი აღმავლობა. კურორტზე ყოფნის პერიოდში გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს სხვა კურორტული ფაქტორების მაქსიმალურად და სწორად გამოყენებას. გარკვეული დრო უნდა დაეთმოს სუფთა ჰაერზე სეირნობას, კვებისა და დასვენების რეჟიმის დაცვას და სხვ.; ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფებს აბაზანებთან ერთად უტარდება ფიზიოთერაპიული და მედიკამენტური მკურნალობა.

1955—1958 წლების განმავლობაში გულის სხვადასხვა დაავადებით ავადმყოფთა მკურნალობის შედეგად შემთხვევათა 93,5%-ში მივიღეთ გაუმჯობესება. დანარჩენები კურორტიდან წავიდნენ უცვლელი მდგომარეობით, ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესებას თითქმის ადგილი არ ჰქონია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცაიშის მინერალური წყლების აბაზანებს ზოგჯერ კარგად იტანენ არტერიოსკლეროზით დაავადებულნი, ღრმა მოხუცებულობის ასაკშიც კი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კურორტზე ნამკურნალებ ავადმყოფთა შორის 70—75 წლის ასაკის იყო 980 კაცი, 76—80 წლის ასაკის — 310 და

80 წელზე ზევით — 120 კაცი. ამ ჯგუფის ავადმყოფებს სათანადო შემოწმების შემდეგ ენიშნებოდა აბაზანები 8 წუთის ხანგრძლივობით, ხოლო კარგად ატანის შემთხვევაში — 12—15 წუთამდე, დღეგამოშვებით; მკურნალობის მეორე ნახევარში ყოველდღე თითო აბაზანა, მე-5—6 აბაზანის შემდეგ შესვენებით, ტემპერატურა 33—36°, მკურნალობის კურსზე 12—15 აბაზანა.

ზემოაღნიშნული მონაცემები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ცაიშის წყლები დადებითად მოქმედებს გულის მთელ რიგ დაავადებათა შემთხვევაში, ამიტომ საჭიროა შემდგომში უფრო მეტი კლინიკური დაკვირვება და ამ ჯგუფის ავადმყოფთა კონტინგენტის გაფართოება.

ცაიშში საკმაო რაოდენობით მკურნალობენ ჰიპერტონიული დაავადებით შეპყრობილი ავადმყოფები. ისინი საერთო ავადმყოფთა 5—6% შეადგენენ.

როგორც ცნობილია, ჰიპერტონიული დაავადება საკმაოდ გავრცელებულია. მისი ეტიოლოგიის, პათოგენეზისა და მკურნალობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა (ლანგი, ტარეევი, კონჩალოვსკი, მიასნიკოვი, წინამძღვრიშვილი და სხვ.), რომლებმაც გვიჩვენეს, რომ ამ დაავადების განვითარებაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის ფუნქციის დარღვევას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური ფაქტორებით. მათი აზრით, ჰიპერტონიული დაავადება არის სისხლძარღვთა საერთო ნევროზი, რომელიც გამოწვეულია სისხლძარღვთა ცენტრის ფუნქციის მოშლით, ამ უკანასკნელს კი განაპირობებს ხშირი ფსიქოემოციური ტრავმა (თავის ტვინის ქერქში აგზნების მუდმივი კერის წარმოქმნა). ამ სახის ტრავმა იწვევს ქერქისა და ქერქქვეშა ნორმალური კავშირის დარღვევას და საბოლოოდ განაპირობებს არტერიოლების სპაზმს და არტერიული სისხლის წნევის მომატებას — ჰიპერტონიას.

ამრიგად, ჰიპერტონიული დაავადების განვითარებას განაპირობებს რთული ნერვულ-ჰუმორალური მექანიზმი; ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ დაავადების მკურნალობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკურორტო ფაქტორების ფართოდ გამოყენებას, რადგან სანატორულ-კურორტული ფაქტორები (ზღვისა და საშუალო

მთის ჰავა, ნახშირმჟავა, გოგირდწყალბადიანი, რადიოაქტიური, სულფიდური წყლების აბაზანები, ნორმალური დასვენება, რაციონალური კვება და სხვ.) ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვეული ფუნქციის ნორმალიზებას.

დიდი ხნიდანაა ცნობილი ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობის საქმეში ბალნეოთერაპიის მაღალი ეფექტურობა. მოლჩანმა (დარასუნის ნახშირმჟავა აბაზანებით), შერშევსკიმ (ბელოკურიხას რადიოაქტიური წყლებით), ვალედინსკიმ, ნესტეროვმა, ჩელიკინამ, შიხოვმა (სოჭი-მაცესტის გოგირდწყალბადიანი წყლებით), კევდინმა, გავრილოვმა (ლუბენ-ველიკის გოგირდწყალბადიანი აბაზანებით), წითლანაძემ, ჩილინგარაშვილმა, მეტეხელმა და სხვ. (წყალტუბოს მინერალური წყლებით), გერსამიამ (მენჯის წყლის აბაზანებით) და სხვ. დაადგინეს, რომ გოგირდწყალბადიანი, რადიოაქტიური, ნახშირმჟავა და სხვა სახის აბაზანები დადებითად მოქმედებენ ჰიპერტონიით დაავადებულებზე.

ჰიპერტონიული დაავადების დროს ბალნეოლოგიური მკურნალობის ასეთი დიდი პოპულარობის გამო ჰიპერთერმული წყლის აღმოჩენისთანავე კურორტზე იმატა აღნიშნული ჯგუფის ავადმყოფთა რაოდენობამ. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ეს მინერალური წყლები დადებითად მოქმედებს ამ დაავადებით შეპყრობილთა მკურნალობის შემთხვევაში. ჰიპერტონიული დაავადების პირველ და მეორე სტადიაში (წინამძღვრიშვილით) ავადმყოფებს უტარდებათ მკურნალობა ორივე წყლის კომბინირებული აბაზანებით; ტემპერატურა 34—37°, აბაზანის ხანგრძლიობა 10—15 წუთი, კურსზე 13—17 აბაზანა.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ჰიპერტონიული დაავადებით შემოსული 1180 ავადმყოფიდან მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა 40,6%, გაუმჯობესებულ მდგომარეობაში — 46,5%, დანარჩენმა ავადმყოფებმა დატოვეს კურორტი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გარეშე; თუმცა სუბიექტური ჩივილები მაინც საგრძნობლად შეუმცირდათ.

აბაზანების გავლენით პირველი სტადიის ა და ბ ფაზაში და მეორე სტადიის ა ფაზაში არტერიული წნევა კლებულობს 20—30

და ზოგჯერ 40—50 მმ-ით, ხოლო დიასტოლური წნევა — 15—25 მმ-ით. თავბრუ, თავის ტკივილი, გულის ფრიალი, ყურებში შუილი, ტკივილი კეფის არეში ქრება ან საგრძნობლად კლებულობს, უმჯობესდება ძილი, მადა, გუნებგანწყობა და მატულობს ავადმყოფის შრომისუნარიანობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცაიშის მინერალური წყლების აბაზანებს კარგად იტანენ ისეთი ავადმყოფებიც კი, რომლებსაც წნევა 200—220 მმ აქვთ. სათანადოდ ჩატარებული მკურნალობის შედეგად მათი მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება. რა თქმა უნდა, ასეთ ავადმყოფებს აბაზანები ენიშნებათ მეტი სიფრთხილით და ექიმის უშუალო მეთვალყურეობით.

ჰიპერტონიული დაავადებით შეპყრობილთა მკურნალობაში სათანადო ყურადღება ექცევა არა მარტო ბალნეოპროცედურებს, არამედ ავადმყოფთა კვების, დასვენების, ფიზიოპროცედურებისა და სხვ. ნორმალურად ჩატარებას. ამ შემთხვევაში მინერალურ წყლებთან ერთად სხვა კურორტული ფაქტორები — ზღვისა და მთის შეზავებული სუფთა და რბილი ჰავა, არა დიდი სიმაღლე (ზღვის დონიდან 150 მეტრი), თვალწარმტაცი ბუნება, კურორტის მდებარეობა (წყნარ და მყუდრო ადგილას, სადაც გამორიცხულია ყოველგვარი ხმაურითი გაღიზიანებანი) დადებითად მოქმედებს ამ დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებზე და იწვევს ორგანიზმში ისეთ ცვლილებებს, რომლის მეოხებითაც ხდება აგზნებისა და შეკავების დარღვეული წონასწორობის აღდგენა და ნორმალიზება.

ზემოაღნიშნული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცაიშის ორივე მინერალური წყლის აბაზანები შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ჰიპერტონიული დაავადების პირველი და მეორე სტადიის შემთხვევაში. მხოლოდ საჭიროა, რომ თითოეულ ავადმყოფს მივუდგეთ ინდივიდუალურად, გავითვალისწინოთ მისი გულის, ნერვული სისტემისა და სხვა ორგანოთა მდგომარეობა; მკურნალობის პროცესში მკაცრად დავიცვათ აბაზანების მიღების, კვების, ძილის, სამკურნალო ფიზკულტურის, მედიკამენტური და ფიზიოთერაპიული მკურნალობის ყველა წესი.

აღსანიშნავია, რომ ცაიშის მინერალური წყლების აბაზანები დადებითად მოქმედებს კანის მთელ რიგ დაავადებათა შემთხვევაში.

ეს დაავადებანი ხასიათდება ისეთი შემაწუხებელი სიმპტომებით, როგორიცაა: ქავილი, გამონაყარი, უძილობა, უმადობა, ხშირი თავის ტკივილი, საერთო აგზნებულობა და შრომის უნარის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ დაავადებათა მკურნალობის ეფექტურ საშუალებათა გამონახვა მედიცინის მეცნიერებათა ყურადღებას იპყრობს.

ცნობილია, რომ კანის დაავადებათა (ეგზემა, ფსორიაზი, ნევროდერმიტი, დერმატოზები, ქავილი, პიოდერმიტები და სხვ.) მკურნალობაში სხვა საშუალებებთან ერთად მნიშვნელოვანი და წამყვანი ადგილი უკავია ბალნეოლოგიური ფაქტორების გამოყენებას.

ამ დაავადებებს მკურნალობენ მაცესტაში, წყალტუბოში, ნაფტალანში, პიატიგორსკში, სერგიევსკში, ჯელალაბადში, ლუბენ-ველიკში, ნუნისში და სხვა კურორტებზე. ჩატარებული დაკვირვების შედეგად მკვეთრ გაუმჯობესებას აღნიშნავენ: ლავროვი (სოჭი-მაცესტა) შემთხვევათა 63,5%-ში, სუხარევი (პიატიგორსკი) — 76%-ში, ნაგოცკაია (ლუბენ-ველიკი) — 84,5%-ში და ა. შ.

კურორტზე საკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა საკმაოდ დიდ კონტინგენტს (17%) შეადგენს კანის სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილები. ამ დაავადებათა მკურნალობაში მიღებული პირველი შედეგები გამამხნევებელი აღმოჩნდა და ამიტომ ავადმყოფთა კურორტზე ჩამოსვლის პირველი დღიდანვე დაიწყო დაკვირვება კანის დაავადებათა მკურნალობის ეფექტურობაზე.

ექიმების ყუფუნიას და ბოხუას მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კურორტზე კანის სხვადასხვა დაავადებით გატარებული 3683 ავადმყოფიდან მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში წავიდა 54,7%, გაუმჯობესებით — 38,6%, უცვლელ მდგომარეობაში — 6,1%, ხოლო გამწვავებას ადგილი ჰქონდა შემთხვევათა მხოლოდ 0,6%-ში.

კანის დაავადებით ავადმყოფებს უტარდებოდათ მკურნალობა როგორც ორივე წყლის ნარევით, ასევე მხოლოდ სუფთა ჰიპერთერმული წყლის აბაზანებით. დაკვირვებით გამოირკვა, რომ მკურ-

ნალობაში უკეთესი შედეგები გვაქვს ცაიშის „ახალი“ მინერალური წყლის სუფთა სახით ხმარების შედეგად. ამიტომ ამჟამად აჭ დაავადებათა მკურნალობაში მხოლოდ ჰიპერთერმული წყლის აბაზანებია გამოყენებული. ავადმყოფებს აბაზანები ენიშნებათ ინდივიდუალურად, დაავადების ფომისა და სტადიის მიხედვით, დღეში ერთი ან ორი პროცედურა, ტემპერატურა 34—36°, ხანგრძლიობა 10—15 წუთი, მკურნალობის კურსზე 22—30 აბაზანა. ამასთან ერთად კანის ლოკალური დაავადებისას გამოყენებულია ამავე წყლის საფენები (ხელებზე, ფეხებზე, სახეზე, კისერზე, თავზე) რამდენჯერმე დღეში.

ჩატარებული მკურნალობის შედეგად ქავილი წყნარდება, მადა უმჯობესდება, ძილი ხდება ნორმალური, ავადმყოფები იმატებენ წონაში, ედრ-ი დადის ნორმამდე, ჰემოგლობინი მატულობს, კანის მორფოლოგიური ელემენტები თანდათან განიცდის უკუგანვითარებას, ბოლოს იგი ხდება სუფთა, რბილი, ელასტიკური და უბრუნდება თითქმის თავის პირვანდელ, ნორმალურ მდგომარეობას.

ამ ჯგუფის ავადმყოფებს გაუმჯობესება უმთავრესად ემჩნევათ მკურნალობის კურსის დამთავრების ან მკურნალობიდან 3—5 კვირის გავლის შემდეგ. კანის დაავადებათა (ეგზემა, ფსორიაზი, ნევროდერმიტი) მკურნალობის შემთხვევაში უფრო მყარი ეფექტის მისაღებად საჭიროა მკურნალობის მეორე და მესამე კურსის ჩატარება 8—12 თვის ინტერვალებით. ამასთან ერთად სასურველია მკურნალობა ჩატარდეს კანის დაავადებათა შემთხვევაში მოსალოდნელი გამწვავების წინა პერიოდში; მაგალითად, ფსორიაზის ზაფხულის ფორმისას—გაზაფხულზე, ხოლო ზამთრის ფორმისას—შემოდგომაზე.

ზოგჯერ, როდესაც აბაზანებით ვერ ვიღებთ დადებით შედეგებს ან ადგილი აქვს გამწვავებას, მივმართავთ სხვადასხვა დამხმარე მედიკამენტურ საშუალებებს (ბრომი—ვენაში, დიმედროლი, რეზორცინის, იქტიოლის და სხვა საფენები), ხოლო შემდეგ ისევ გადაგვყავს აბაზანებით მკურნალობაზე. ცაიშის მინერალური წყლებით კანის დაავადებათა მკურნალობის ეფექტურობაზე, რასაკვირველია, უახლოესი შედეგებით არ შეიძლება ვიმსჯელოთ, რადგან, როგორც ვიცით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შორეულ შედეგებს. უკა-

ნასკნელი 4—5 წლის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რეციდივს ადგილი აქვს შემთხვევათა 9—11% და ისიც 1—1,5 წლის შემდეგ, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც მკურნალობის კურსი ბოლომდე არ იყო ჩატარებული, ანდა ავადმყოფებმა უხეშად დაარღვიეს რეჟიმი.

მკურნალობის მეორე და მესამე კურსის ჩატარების შემდეგ რეციდივი იშვიათია და მიღებული შედეგი უფრო მყარი.

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა მკურნალობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კურორტულ მკურნალობას. ცნობილია, რომ ბალნეოლოგიური და ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობა მასტიმულირებელ გავლენას ახდენს დაზიანებული ნერვული ღეროს რეგენერაციულ პროცესზე და აჩქარებს მისი ფუნქციის აღდგენას (პიონტკოვსკი, გრიგორევა, იოფე). როგორც სოჭი-მაცესტის, წყალტუბოს, მენჯის, ასევე ცაიშის მინერალური წყლების შემადგენლობაში გოგირდწყალბადის, კალციუმის, მაგნიუმის, კალიუმის, სულფატებისა და სხვა ნივთიერებათა არსებობა განსაზღვრავენ მის სამკურნალო თვისებებს. ეს ნივთიერებანი იწვევენ ნერვული სისტემის აგზნებისა და შეკავების პროცესების ნორმალიზებას, ნერვულ-რეფლექსური გზით იცვლება ჰემოდინამიკა, უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა და ქსოვილის ტროფიკა, რაც საბოლოოდ იწვევს ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კურორტზე სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა 13% პერიფერიული ნერვული სისტემის (საჯდომი ნერვის ნევრიტი და ნევრალგია, რადიკულიტი, პლექსიტი და სხვ.) დაავადებით არის შეპყრობილი.

ამ ჯგუფის ავადმყოფებს მკურნალობა უტარდებოდა ცაიშის ორივე წყლის ნაერთი აბაზანებით, ტემპერატურა 36—37°, 12—15 წუთის ხანგრძლიობით, ერთხელ დღეში, კურსზე 15—20 აბაზანა. ზოგ შემთხვევაში ავადმყოფები აბაზანებთან ერთად ღებულობენ ფიზიოთერაპიულ პროცედურებს, მედიკამენტურ (გლუკოზა, $B_1$, $B_{12}$ ვიტამინი, ნიკოტინის მჟავა და სხვ.) მკურნალობასთან ერთად. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადების შემთხვევაში ხშირად ტკივილი იმდენად ძლიერია, რომ იგი იწვევს კიდურების მოძრაობითი ფუნქციის დარღვევას, რასაც ზოგჯერ ავადმყოფები

მიჰყავს ხერხემლის დეფორმაციამდე, ხოლო შორსწასული ფორმების დროს აგრეთვე ვითარდება ტროფიკული მოშლილობანი როგორც კუნთოვან, ასევე ძვალსახსრის სისტემაში. იშიასის შემთხვევაში მცირე მოძრაობაც კი მტკივნეულია, ამიტომ ავადმყოფი ღებულობს იძულებითს მდებარეობას, რომლის დროსაც მას ტკივილი ნაკლებად აწუხებს.

აბაზანებით მკურნალობის შედეგად ავადმყოფს ტკივილი უწყნარდება, კუნთების დაჭიმულობა ქრება, იგი თავისუფლდება იძულებითი მდგომარეობიდან, მატულობს აქტიური მოძრაობის რადიუსი, კლებულობს ატროფია, უმჯობესდება ავადმყოფის საერთო მდგომარეობა და უმეტეს შემთხვევაში თავისუფლად (უჯოხოდ) იწყებს სიარულს.

ამ ჯგუფის ავადმყოფებს 3—4 აბაზანის გავლენით ემჩნევათ გაუმჯობესება, ხოლო მკურნალობის დაწყებიდან 10—12 დღის შემდეგ მწოლიარე ავადმყოფებიც კი იწყებენ სიარულს და უმეტეს შემთხვევაში სრულიად გამოჯანმრთელებულნი ან მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში ეწერებიან კურორტიდან.

უკანასკნელი წლების (1955—1958 წწ.) დაკვირვების შედეგად (ბოხუა, ადამია) ირკვევა, რომ ორივე წყლის ნაერთი აბაზანების გავლენით შემთხვევათა 58,4%-ში მივიღეთ განკურნება ან მკვეთრი გაუმჯობესება, 38,6%-ში—გაუმჯობესება, დადებითი შედეგი არაა მიღებული შემთხვევათა 3%-ში. ეს ის ავადმყოფებია, რომლებსაც უკვე განვითარებული ჰქონდათ პერიფერიული ნერვული სისტემის შორსწასული ცვლილებები. შედეგი მით უფრო უკეთესია, რაც უფრო დროულადაა მკურნალობა დაწყებული, ე. ი. დაავადების მწვავე პერიოდის ჩათავებისა და ქრონიკულ სტადიაში გადასვლის დროს. ამ სტადიაში ჯერ კიდევ არ არის გამოხატული ნეიროდისტროფიული ცვლილებები. ხოლო დაავადების შორსწასული ფორმებისას, როდესაც მკვეთრადაა გამოხატული ნერვის როგორც მამოძრავებელი, ასევე მგრძნობიარე ფუნქციის დარღვევა, ცხადია, მკურნალობით მიღებული შედეგიც ნაკლებია.

ამ წყლების ზეგავლენით პერიფერიული ნერვული სისტემის ტრავმული ხასიათის დაზიანების დროს ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ შედეგი ისეთი არ არის, როგორც პერიფე-

რიული ნერვული სისტემის სხვა სახის (ინფექციურ-ინტოქსიკაციური, რევმატული და სხვ.) დაავადების შემთხვევაში.

ქალის სასქესო ორგანოების დაავადებებს კარგი შედეგებით მკურნალობენ როგორც მაცესტის, წყალტუბოს, მენჯის მინერალური წყლების აბაზანებით, ასევე ახტალის, სააკის და სხვა კურორტების ტალახით. მსგავსად აღნიშნული კურორტებისა, ცაიშში სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა შორის საკმაო რაოდენობითაა გინეკოლოგიურ დაავადებათა (საშვილოსნოსა და დანამატების ქრონიკული ანთება, პერიპარამეტრიტი, სკვერცხეების ფუნქციის უკმარისობა, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშოს ქავილი და სხვ.) შემთხვევები.

მთელ რიგ ავტორთა დაკვირვებებით (კესტერი, ჩერნიახოვსკი, ელიაშვილი, მგალობლიშვილი, მიქაბერიძე, ბოკერია და სხვ.) დადგენილია, რომ სოჭი-მაცესტის, წყალტუბოსა და მენჯის მინერალური წყლების აბაზანების ზეგავლენით ძლიერდება დაავადებულ ორგანოში სისხლის მიდენა, რის შედეგადაც ჩქარდება ანთებითი პროცესების შეწოვა, უმჯობესდება დაავადებული ორგანოს კვება, ანთებითი პროცესი ცხრება და ავადმყოფებს აღენიშნებათ არა მარტო სასქესო ორგანოთა ფუნქციისა და მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ უმჯობესდება სხვა ორგანოთა მდგომარეობა, რის შედეგადაც სასქესო ორგანოების ფუნქციის მოშლასთან დაკავშირებული მთელი რიგი შემაწუხებელი მოვლენები ქრება ან მკვეთრად მცირდება.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვებებიდან (ნაროუშვილი, ბოხუა, ხაბურზანია) ჩანს, რომ ცაიშის, წყალტუბოსა და მენჯის მინერალური წყლების ზეგავლენით მიღებული შედეგები ერთმანეთს ემთხვევა; ამიტომ ცაიშის მინერალური წყლები გარკვეულ დაავადებათა სამკურნალოდ ისევე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც წყალტუბოსა და მენჯის მინერალური წყლები.

კურორტზე სამკურნალოდ ჩამოსულ გინეკოლოგიურ ავადმყოფთა 46,6% განკურნებული ან მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა, გაუმჯობესებით 44,4%, ე. ი. დადებით შედეგებს ადგილი ჰქონდა შემთხვევათა 91%-ში. ეს მონაცემები აშკარად ადასტურებს ცაიშის მინერალური წყლების მაღალ ეფექ-

ტურობას ზოგიერთ გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობაში.

ამ ჯგუფის ავადმყოფებს ენიშნებათ ორივე წყლის ხარვეზი ზოგადი აბაზანა დღეში ერთხელ, ტემპერატურა 36—38°, 12—15 წუთის ხანგრძლიობით, ამასთან ერთად მათ უკეთდებათ საშოს ირიგაცია (შესხურება) ცაიშის „ახალი“ მინერალური წყლით, ტემპერატურა 37—40°, 10—12 წუთის განმავლობაში, სულ მკურნალობის კურსზე 17—25 აბაზანა და ამდენივე ირიგაცია. აღნიშნული კომბინირებული მკურნალობით გაცილებით უფრო კარგი შედეგია მიღებული, ვიდრე ცალ-ცალკე ამ მეთოდების გამოყენებით; ამიტომ საჭიროა კურორტზე უფრო ფართო მასშტაბით იქნეს დანერგილი გინეკოლოგიურ დაავადებათა კომბინირებული მკურნალობის მეთოდი.

დაკვირვებით ირკვევა, რომ საშვილოსნოს ყელის ეროზიის შემთხვევაში ცაიშის „ახალი“ მინერალური წყლით ირიგაციის შედეგად წყლული სუფთავდება, პატარავდება, გამონადენი ქრება ან მცირდება, ვითარდება გრანულაცია და შემდგომში იგი სრულიად ისპობა. ასევე ამ მეთოდის მკურნალობაში გამოყენებით საგრძნობლად ქრება ან მცირდება, საშოს ქავილი, იცვლება გამონადენის ფერი და სუნი და ავადმყოფის მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება, ამიტომ საჭიროა ამ დაავადებათა მკურნალობის მეთოდის შემდგომი სრულყოფა და უფრო კონკრეტულად დამუშავება.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. თურმანიძემ და ექიმებმა თ. ბოხუამ და მ. ყუფუნიამ შეისწავლეს ცაიშის მინერალური წყლების მოქმედების შედეგები უროლოგიური დაავადებით შეპყრობილთა მკურნალობის შემთხვევაში. მოხუცებულობის ასაკში საკმაოდ გავრცელებულია წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფია, რომელიც იწვევს შარდვის გაძნელებას ან ზოგჯერ სრულ შეკავებასაც.

დაავადების პირველ პერიოდში (როდესაც ავადმყოფს აქვს გახშირებული შარდვა) სხვა სამკურნალო ღონისძიებებთან ერთად ჰიპერთერმული წყლის პროცედურების ზეგავლენით საგრძნობლად უმჯობესდება ავადმყოფთა მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ავადმყოფებს ენიშნებათ ჰიპერთერმული წყლის ზოგადი აბაზანა ერთხელ დღეში (36—37° ტემპერატურის), ხანგრძლიობა 15 წუთი.

ამასთან ერთად მათ ყოველდღიურად უკეთდებათ 39—40° ტემპერატურის წყლის მიკროოყნები. ამ პროცედურის ზეგავლენით უმჯობესდება ჯირკვალში სისხლის მიმოქცევა და ხდება შარდვის მოწესრიგება. რაც შეეხება დაავადების მეორე და მესამე სტადიას, აქ აბაზანებით ჩატარებული მკურნალობა არ იძლევა სასურველ შედეგებს. სხვა სამკურნალო თვისებებთან ერთად ცაიშის აბაზანები დადებით ზეგავლენას ახდენს ღამით შარდის შეუკავებლობით დაავადების შემთხვევაში.

აბაზანების ზეგავლენით მაღლდება შარდის ბუშტის ტონუსი, რეგულირდება ნერვული სისტემის ფუნქცია, რითაც უმჯობესდება ავადმყოფის მდგომარეობა. პერიპარანეფრიტების დროს, როცა ადგილი აქვს თირკმლის ირგვლივ ანთებით შეხორცებებს, ცაიშის მინერალური წყლის აბაზანები ხელს უწყობს ამ შეხორცებების შეწოვას და ტკივილის დაწყნარებას. რასაკვირველია, ამ ჯგუფის ავადმყოფებს არ უნდა ჰქონდეთ დაავადებული თვით თირკმელი. ასევე, ამ აბაზანების მოქმედება დადებითი აღმოჩნდა სათესლე ჯირკვლის ქრონიკული ანთების შემთხვევაში, როდესაც ჯირკვალში არ არის რაიმე სპეციფიკური (ტუბერკულოზური) პროცესი.

კურორტზე სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა საკმაოდ დიდ კონტინგენტზე დაკვირვების შედეგად შემჩნეულია, რომ ცაიშის ორივე მინერალური წყლის გავლენით ჩქარდება როგორც ჭრილობის შეხორცებითი, ასევე დაზიანებული ძვლისა და ნერვული ღეროს აღდგენითი პროცესები; უმჯობესდება ტროფიკული წყლულის, ოპერაციისშემდგომი ნაწიბურების, ინფილტრატებისა და შეხორცებების შეწოვა, რაც ხელს უწყობს ქირურგიული ჩარევის შემდგომ ავადმყოფის გამოჯანმრთელების პერიოდის დაჩქარებას.

ცაიშის „ახალი“ მინერალური წყლის მოქმედება ეფექტური აღმოჩნდა ქრონიკული პარაპროქტიტისა და ბუასილით დაავადების შემთხვევაში. ამ დაავადებების დროს გამოყენებულია არა მარტო ზოგადი აბაზანები, არამედ ავადმყოფებს უტარდებათ სწორი ნაწლავის გამორეცხვა მიკროოყნებით 2—3-ჯერ დღეში. ჩატარებული მკურნალობის შედეგად კვანძები ქრება ან შესამჩნევად კლებულობს; ქავილი, ტკივილი წყნარდება, ანთებითი მოვლენები მცირდება, დეფეკაცია ხდება უმტკივნეულო და უმჯობესდება ავადმყოფის საერთო მდგომარეობა.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკულ დაავადებათა შემთხვევაში ავადმყოფები სასმელად ხმარობენ ცაიშის „ახალ“ მინერალურ წყალს ცივი სახით, რის შედეგადაც უმჯობესდება პერისტალტიკა, ქრება ყაბზობა, კუჭი იწყებს ნორმალურ მოქმედებას; ამიტომ საჭიროა სასმელად ამ წყლის გამოყენების საკითხი როგორც ექსპერიმენტულად, ასევე კლინიკურად ღრმად და დეტალურად იქნეს შესწავლილი.

ცაიშის „ახალი“ მინერალური წყალი დადებითად მოქმედებს თვალის ლორწოვანი გარსის ზოგიერთ ქრონიკულ დაავადებათა (კონიუნქტივიტი, ბლეფარიტი) შემთხვევაში. ამ ჯგუფის ავადმყოფებს ენიშნებათ 33—35° ტემპერატურის წყლით თვალზე ადგილობრივი აბაზანები, მობანა და საფენები რამდენჯერმე დღეში. მკურნალობის შედეგად თვალის ლორწოვანი გარსის სიწითლე ქრება, ჩირქოვანი გამონადენი ისპობა, ტკივილი წყნარდება და დაქვეითებული მხედველობა უმჯობესდება. ზემოაღნიშნული შედეგები უფლებას გვაძლევს ცაიშის ჰიპერთერმული წყალი გამოვიყენოთ აგრეთვე თვალის ზოგიერთი ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ.

---

# მინერალური წყლებით მკურნალობის ვადები და გამოყენების მეთოდიკა

ცაიშის მინერალური წყლებით ჩატარებული მკურნალობის შედეგები დიდად არის დამოკიდებული როგორც აბაზანების, ასევე სხვა სამკურნალო ფაქტორების მიზანშეწონილად და სწორად გამოყენებაზე, აბაზანების ან სხვა ფაქტორების არაწესიერად გამოყენებას კი უმეტესად მოსდევს გართულებანი და ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესება.

ცაიშის „ახალი" ჰიპერთერმული წყლის აღმოჩენის შემდეგ ავადმყოფებმა კურორტზე თვითნებურად, ღია ცის ქვეშ დაიწყეს „აბაზანების" მიღება, დღეში სამ-ოთხჯერ, რასაც ზოგჯერ არასასურველი შედეგი მოჰყვებოდა. მაგრამ, როდესაც კურორტზე მოეწყო სააბაზანო, გაიხსნა პოლიკლინიკა და პანსიონატი, დაიწყო ავადმყოფის წინასწარ ადგილზე შემოწმების შემდეგ აბაზანებისა და სხვა პროცედურების დანიშვნა, ზემოაღნიშნულ მოვლენას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს სსრ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბრიგადების (ნოდია, ფარჯანაძე, დგებუაძე, კაკაბაძე, თავამაიშვილი) და ადგილობრივი ექიმების (მეუნარგია, ბოხუა, ყუფუნია, თუზბაია) მიერ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შემუშავდა ცაიშის მინერალური წყლების აბაზანების მიღების წესები, მეთოდიკა და მისი სამკურნალოდ გამოყენების საკითხი.

ჩატარებული დაკვირვებებით დადგენილია, რომ აბაზანების დანიშვნა თითოეული ავადმყოფისათვის უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, მისი საერთო მდგომარეობის ყოველმხრივი გათვალისწინებით.

ვინაიდან პირველი სამი აბაზანა იწვევს ორგანიზმის თავისებურ

რეაქციას ამ წყლების მიმართ, ამიტომ იგი ინიშნება 8—10 წუთის ხანგრძლიობით, რომელიც შემდეგ თანდათან აგვყავს 15 წუთამდე. ზოგიერთი ავადმყოფი კურორტზე ჩამოსვლის პირველივე დღეს ცდილობს ყოველგვარი შემოწმებისა და წინასწარი მომზადების გარეშე მიიღოს არა ერთი, არამედ ორი აბაზანა, რომ რაც შეიძლება მალე დაამთავროს კურსი. ამან კი შეიძლება ცუდი შედეგი გამოიღოს, მოსალოდნელია გართულებაც.

მკურნალობაში კარგი შედეგების მისაღებად მნიშვნელობა აქვს არა მარტო აბაზანების რაოდენობას, არამედ იმას, თუ როგორი თანმიმდევრობითა და ხანგრძლიობით მოქმედებენ ეს სამკურნალო ფაქტორები ავადმყოფის ორგანიზმზე. ამიტომ ე. წ. დაკვრითი წესით მკურნალობა მინერალური წყლების გამოყენებაში გაუმართლებელი და ყოვლად დაუშვებელია.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს გულის ფუნქციის გამოხატული ნაკლოვანების, მაღალი წნევის, მოხუცებულობითი ასაკისა და დასუსტებული ორგანიზმის შემთხვევაში ავადმყოფებს ენიშნებათ ცაიშის ორივე წყლის შერეული აბაზანები ერთხელ დღეში, 8—10 წუთის ხანგრძლიობით, ტემპერატურა 34—36 გრადუსი, 2—3 აბაზანის შემდეგ შესვენებით; ანდა ამ ჯგუფის ავადმყოფებს ენიშნებათ აბაზანები ყოველ მეორე დღეს. პირველი სამი აბაზანის კარგად ატანის შემთხვევაში თანდათან ადიდებენ აბაზანაში ყოფნის ხანგრძლიობას 15 წუთამდე. მკურნალობის კურსზე ღებულობენ სულ 13—17 აბაზანას. ცხელ (ზაფხულის) პერიოდში აბაზანები ენიშნებათ დილით ადრე ან საღამოს საათებში. ავადმყოფები აბაზანაში უნდა იწვნენ მშვიდად, წყალი არ უნდა ფარავდეს გულის არეს, დაუშვებელია წყლის ტემპერატურის ან აბაზანაში ყოფნის ხანგრძლიობის თვითნებურად მომატება.

სახსრების, გინეკოლოგიური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადების შემთხვევაში ავადმყოფებს ენიშნებათ ორივე წყლის ნაერთი აბაზანა დღეში ერთხელ, ტემპერატურა 35—37°, 10—15 წუთის ხანგრძლიობით, კურსზე სულ 15—20 აბაზანა.

გინეკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევაში, გარდა ზოგადი აბაზანებისა, ავადმყოფებს უტარდება ცაიშის „ახალი“ მინერალური

წყლით საშოს ირიგაცია, წყლის ტემპერატურა 37—40°, პროცედურის ხანგრძლიობა 10—12 წუთი.



კანის დაავადებათა (ეგზემა, ფსორიაზი, ნევროდერმიტი, ქრონიკული დერმატოზები, პიოდერმიტები და სხვ.) შემთხვევაში ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ შედეგები უფრო კარგი მიიღება ცაიშის „ახალი“ მინერალური წყლის სუფთა სახით გამოყენების შემთხვევაში, ვიდრე შერეული წყლის აბაზანებით; ამიტომ ამ ჯგუფის ავადმყოფებს ენიშნებათ ცაიშის „ახალი“ მინერალური წყლის აბაზანები ერთხელ ან ზოგიერთ შემთხვევაში ორი აბაზანა დღეში, ტემპერატურა 34—36°,. 10—15 წუთის ხანგრძლიობით, მკურნალობის კურსზე 22—30 აბაზანა.

თავის თმიანი ნაწილების, სახის, ყურების, ხელების, ფეხების და სასქესო ორგანოების დაავადების შემთხვევაში ავადმყოფებს ენიშნებათ ცაიშის „ახალი“ წყლის ადგილობრივი აბაზანები (მობანვა, საფენები, შხაპები) რამდენჯერმე დღეში.

იმ კაბინებში, სადაც ავადმყოფები იღებენ პროცედურებს, განსაკუთრებით კი ზაფხულში, საჭიროა ჰაერი სისტემატურად სუფთავდებოდეს, რადგან დახურულ ოთახში მატულობს ტენიანობა, ტემპერატურა და ნახშირმჟავას რაოდენობა, რაც, თავისთავად ცხადია, ცუდად მოქმედებს ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმზე.

გულ-სისხლძარღვთა დაავადების შემთხვევაში ავადმყოფები აბაზანაში უნდა იყვნენ ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში, ისე რომ გულის არეს წყალი არ ფარავდეს. როდესაც გვაქვს სახსრების დაავადება და დაზიანებულია მხრის სახსრები ან კისრის კუნთები, ავადმყოფი წვება წყალში უფრო ღრმად, რათა წყლით დაფაროს მტკივნეული ადგილები, თუკი მისი გულის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა.

კანის, გინეკოლოგიურ, ბუასილით და პროსტატით დაავადებულთათვის გამოყოფილია ცალკე კაბინები, სადაც ავადმყოფები ღებულობენ აბაზანებს და იქვე უტარდებათ სხვა პროცედურები (შესხურება, მიკროოყნა).

კანის შორსწასულ ქრონიკულ და ზოგიერთ სხვა დაავადებათა დროს მკურნალობის კურსი 20 დღიდან ერთ თვემდე გრძელდება.

აბაზანების მიღებისათვის საჭიროა ავადმყოფის სათანადოდ მომზადება წინასწარ. სასურველი არ არის პროცედურა მაძღარ ან მშიერ კუჭზე, დაღლილობის, თამაშის, ხანგრძლივი სიცრულის, გაოფლიანების, მგზავრობის შემდეგ. აბაზანის მიღების შემდეგ სასურველია ავადმყოფმა დაისვენოს სააბაზანოში 10—15 წუთით, ხოლო შემდეგ ოთახში ერთი საათი.

ჩვენ ვურჩევთ მკურნალობის გამეორებას სამ-ოთხჯერ ზედიზედ, 8—12 თვის ინტერვალებით. კერძოდ, ქრონიკულ დაავადებათა შემთხვევაში, მესამე ან მეოთხე კურსის გავლენით შესამჩნევად უმჯობესდება ავადმყოფის მდგომარეობა, მაშინ როდესაც პირველ და მეორე კურსზე საკმაო შედეგი არ იყო მიღებული. სხვა ბალნეოლოგიური კურორტების ანალოგიურად ჩვენი მონაცემები ადასტურებენ, რომ განმეორებითი აბაზანების გავლენით უმჯობესდება ავადმყოფის მდგომარეობა და მიღებული შედეგებიც უფრო მყარია.

ჯერჯერობით კურორტი სეზონურად მუშაობს — 1 მაისიდან 1 დეკემბრამდე, ხოლო სათანადო სამკურნალო დაწესებულებათა (სააბაზანო, სანატორიუმი) მშენებლობის დამთავრების შემდეგ იგი მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს. ამის საშუალებას იძლევა ცაიშის ბუნებრივი პირობები.

მკურნალობის დროის შერჩევისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ამა თუ იმ დაავადების ზოგიერთი თავისებურება; მაგალითად, კანის დაავადების შემთხვევაში სასურველია მკურნალობა ჩატარდეს მოსალოდნელი გამწვავების ან რეციდივის წინა პერიოდში, ხოლო სხვა დაავადებათა შემთხვევაში წელიწადის დროს მკურნალობისათვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგან აქ ჰავა ზომიერია და ძლიერი სიცხეები არ იცის, ხოლო ზამთარი შედარებით თბილია (ისე როგორც საერთოდ შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონაში) და წლის ყველა დროს ეფექტურად შეიძლება ჩატარდეს მკურნალობა.

მკურნალობის ეფექტურობისათვის მინერალური წყლების აბაზანებთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა აქვს სხვა საკურორტო ფაქტორების — სუფთა ჰაერის, მზის სხივების, დიეტის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ფიზკულტურის — რაციონალურად გამოყენებას.

სამკურნალო ფიზკულტურა კურორტზე ჯერჯერობით არ არის

დანერგილი, საჭიროა ახალი კეთილმოწყობილი ობიექტების მშენებლობის დამთავრების შემდეგ მისი სათანადოდ გამოყენება.

ურთას მთის კალთები, იქ მდებარე ისტორიული ტაძარი, მეორე ჭაბურღილის წყალი და ფერდობზე მიმავალი გზები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საექსკურსიო და ამავე დროს სამკურნალო და სასეირნო ადგილი.

სიმაღლეზე ასვლის თანდათანობითი მომატებით მატულობს გულისა და მთელი ორგანიზმის კუნთოვანი სისტემის დატვირთვა, რაც ხელს უწყობს მის გავარჯიშებას, ამით კი ადამიანი იძენს ძალას.

სამკურნალო სეირნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის. ორგანიზმის გამოწრთობის ამ საშუალებას დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და ფართოდ იყენებენ კურორტებზე; ამიტომ საჭიროა ცაიშის კურორტის შემდგომ განვითარებასთან ერთად ტერენ-კური სათანადოდ იქნეს დანერგილი, რომლისათვისაც აქ საუკეთესო ადგილები არსებობს.

კურორტზე მკურნალობის პერიოდში გარკვეული ყურადღება ექცევა ავადმყოფთა კვების რეჟიმს. ზოგჯერ ავადმყოფები არ კმაყოფილდებიან დანიშნული დიეტით, არ მოსწონთ საკვების გემო ან რაოდენობა და თვითნებურად მიმართავენ დამატებით კვებას. ზოგჯერ საჭიროა ავადმყოფმა დაიკლოს წონაში (სიმსუქნისას), ამ შემთხვევაში არაა საჭირო ზედმეტი კვება, ავადმყოფმა თავი უნდა შეიკავოს ცხიმიანი, ცხარე და მარილიანი საჭმელებისაგან, მოერიდოს ალკოჰოლიან სასმელებს; საერთოდ ბალნეოლოგიური მკურნალობის პერიოდში დაუშვებელია ალკოჰოლიანი სასმელების თუნდაც მცირე რაოდენობით მიღება. შემჩნეულია, რომ აბაზანებთან ერთად ალკოჰოლის მცირე დოზაც კი იწვევს გულის ფრიალს, თავის ტკივილსა და მთელ რიგ უსიამოვნო შეგრძნებებს.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების შემთხვევაში ექიმმა უნდა შეურჩიოს ავადმყოფს კვების ისეთი რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის ნორმალურ კვებას და დაავადებული გულის ზომიერ მუშაობას.

მსუქანი ადამიანი გულის დაავადების შემთხვევაში უნდა მოერიდოს ზედმეტ ჭამას; საჭიროა შეამციროს ხორცეულისა და ცხიმეული პროდუქტების მიღება; ღამით, ძილის წინ უნდა ერიდოს გაძ-

ლომას. სასურველია ჭამის შემდეგ სუფთა ჰაერზე სეირნობა, ჭამის შემდეგ ძილი ასეთ ავადმყოფებზე ცუდად მოქმედებს.

როგორც ყველა სხვა დაავადების, ასევე განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და კანის დაავადების შემთხვევაში საჭიროა სათანადო დიეტის დაცვა.

უკანასკნელ პერიოდში სხვა მეთოდებით მკურნალობასთან ერთად საკმაო ყურადღება ექცევა სახსრების დაავადებათა შემთხვევაში დიეტურ რეჟიმს. ცნობილია, რომ რევმატიზმით დაავადების შემთხვევაში ავადმყოფებს თუ შევუმცირებთ პურის, კარტოფილის, მარილის, ტკბილეულის მიცემას, ჩატარებული მკურნალობა უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე საერთო დიეტის დროს; ამიტომ საჭიროა რევმატიზმით დაავადების შემთხვევაში სათანადო ყურადღება მიექცეს ავადმყოფის კვებითს რეჟიმს.

ასეთი კომპლექსური მკურნალობით და სათანადო რეჟიმის დაცვით უმჯობესდება ავადმყოფის მდგომარეობა და ისინი განკურნებულნი ან მკვეთრად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში ბრუნდებიან.

---

# სავალდებულო რეჟიმი და ნესები კურორტზე მკურნალობის დროს

კურორტზე სამკურნალოდ ჩაირიცხება ავადმყოფი, რომელიც გასინჯულია როგორც შემრჩევი სანიტარული საკურორტო კომისიის, ასევე ადგილზე მომუშავე მკურნალი ექიმის მიერ.

ავადმყოფი ვალდებულია გამოცხადდეს მკურნალ ექიმთან ან კონსულტანტთან და კაბინეტებში (რენტგენი, ლაბორატორია) დანიშნულ დროს.

მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა დაიცვას კურორტშიდა რეჟიმი და ზუსტად შეასრულოს ექიმის დანიშვნები.

ავადმყოფი ვალდებულია ყველა საჭირო შემთხვევაში მიმართოს მკურნალ ან მორიგე ექიმს.

ბალნეოპროცედურებზე დაშვებისათვის საჭიროა ყველა ავადმყოფი გაისინჯოს კანის ექიმის, ხოლო ქალები გინეკოლოგის მიერაც.

ავადმყოფები აბაზანებს ღებულობენ სათანადო შემოწმებისა და გაფორმების შემდეგ.

აბაზანის მისაღებად ავადმყოფი უნდა გამოცხადდეს დანიშნულ დროზე სათანადო საბუთებით (საკურორტო წიგნაკი).

აბაზანაში ავადმყოფი უნდა იწვეს მშვიდად, გულის არე წყლით არ უნდა დაფაროს; არ შეიძლება აბაზანაში თავის ჩაყოფა. აბაზანის მიღების შემდეგ ავადმყოფმა უნდა შეისვენოს 10—15 წუთი დასასვენებელ ოთახში, შემდეგ კი ბინაზე ერთი საათის განმავლობაში.

დაუშვებელია აბაზანების მიღების პერიოდში ალკოჰოლიანი სასმელების მიღება.

აბაზანა უნდა მიიღოს ავადმყოფმა მსუბუქი საუზმის ან საჭმლის მიღებიდან 2 საათის შემდეგ. აბაზანის მიღება რაიმე ფსიქოემოციური აგზნების ან ფიზიკური დატვირთვის შემდეგ არ შეიძ-

ლება. სასურველია ავადმყოფმა აბაზანის მიღების წინ მოშარდოს.

აკრძალულია და დაუშვებელი თვითნებურად აბაზანაში ყოფნის ხანგრძლიობის ან წყლის ტემპერატურის მომატება.

ავადმყოფი არასდროს არ უნდა შეეცადოს ექიმის მიერ დანიშნული აბაზანების რაოდენობის ამა თუ იმ გზით მომატებას.

ავადმყოფი ვალდებულია დაიცვას ძილის, დასვენების, სუფთა ჰაერზე სეირნობის და ექიმის მიერ დანიშნული დიეტური რეჟიმი, ურომლისოდაც შეუძლებელია დადებითი შედეგის მიღწევა.

მკურნალობის დადებითი შედეგი დიდად არის დამოკიდებული ავადმყოფის მიერ ექიმის დანიშვნებისა და საკურორტო რეჟიმის სათანადოდ დაცვაზე.

---

# ცაიშში მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი

## მკურნალობის ჩვენებანი

### I საყრდენ-სამოძრაო ორგანოთა სისტემის დაავადებანი

1. სახსრების დაავადებანი:

ა) რევმატული პოლიართრიტი ქრონიკულ სტადიაში, მწვავე პერიოდის ჩათავებიდან არაუადრეს 6 თვისა;

ბ) ინფექციური ართრიტი და პოლიართრიტი (გონორეული, სიფილისური, სეფსისური, ბრუცელოზური, დიზენტერიული, ართრიტები დაკავშირებული რომელიმე მწვავე ინფექციასთან); ამ ჯგუფის ავადმყოფების გაგზავნა შეიძლება მწვავე პერიოდის ჩათავებიდან 3 თვის შემდეგ, როცა ტემპერატურა ნორმალურია და ედრ-ი არ არის მაღალი (20—25 მმ საათში);

გ) ინფექციური პოლიართრიტი — უცნობი ეტიოლოგიის — დაკავშირებული არასპეციფიკურ კეროვან ინფექციასთან (ნუშისებრი ჯირკვლების, კბილების, შარდ-სასქესო ორგანოების, ნაღვლის ბუშტის, ჭრილობის და სხვა კერასთან) ან გამოუვლინებელი კერით (სტილის დაავადება);

დ) დისტროფიული არაინფექციური ართრიტები (კეთილთვისებიანი დეფორმული ართროზი, სპონდილოზი, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ინტოქსიკაციისა და ავიტამინოზის შედეგად განვითარებული ართრიტები, როგორიცაა პოდაგრული, სკორბუტული, თირეოტოქსიკური, კლიმაქსური და სხვ.);

ე) ტრავმული ართრიტები (სახსრის ღია, დახურული ან განმეორებითი მსუბუქი დაზიანებით წარმოშობილი ართრიტები).

2. ძვლების, კუნთების და მყესების დაავადებანი:

ა) ძვლების მოტეხილობის ნარჩენი მოვლენები — მტკივნეული კორძებით;

ბ) ოსტიტი და პერიოსტიტი ტრავმული და ინფექციური ხასიათის;

გ) მიოზიტი, ბურსიტი, ტენდოვაგინიტი — ინფექციური, ტოქსიკური და ტრავმული ხასიათის;

დ) კონტრაქტურები ჭრილობის, ოპერაციის; დამწვრობის, ფლეგმონის მიოგენური და ართროგენული წარმოშობის;

ე) რბილი ქსოვილების ჭრილობები გაჭიანურებულად მიმდინარე შეხორცებებით;

ვ) არასპეციფიკური ქრონიკული სპონდილიტები, სპონდილართრიტები, სპონდილოზი და სხვ.

## II. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი

1. ქრონიკული რევმატული და სხვა სახის მიოკარდიტი (მწვავე პერიოდის ჩათავებიდან 5—6 თვის შემდეგ, როცა ტემპერატურა ნორმალურია და ე დ რ-ი არ არის მაღალი) სისხლის მიმოქცევის I ხარისხის მოშლით, სტენოკარდიისა და ინფარქტის გარეშე;

2. მიოკარდიოდისტროფია (გადაღლილობის, ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ტოქსიკური და ინფექციური ხასიათის) სისხლის მიმოქცევის არაუმეტეს I ხარისხის მოშლილობის დროს;

3. კარდიოსკლეროზი — მიოკარდიტული და ათეროსკლეროზული სისხლის მიმოქცევის არაუმეტეს I ხარისხის მოშლილობით, ინფარქტისა და სტენოკარდიული შეტევების გარეშე;

4. სარქვლების ნაკლოვანებანი (აორტის, ორკარიანი) სისხლის მიმოქცევის არაუმეტეს I ხარისხის მოშლილობის დროს;

5. სისხლძარღვთა დაავადებანი (არტერიოსკლეროზი და ათეროსკლეროზი) სისხლის მიმოქცევის არაუმეტეს პირველი ხარისხის მოშლილობით;

6. ჰიპერტონიული დაავადება I და II სტადიაში (წინამძღვრიშვილით) სტენოკარდიისა და ტვინის არტერიების გამოხატული სკლეროზის გარეშე.

## III. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი

1. ნევრალგია, ნევრიტი, რადიკულიტი, პოლირადიკულონევრიტი, პლექსიტი;

2. პერიფერიული ნერვული სისტემის მეორადი—ინფექციური, დისტროფიული და ინტოქსიკაციური დაავადება (გრიპი, დიფთერია, ტიფი, ავიტამინოზი, ინფექციური, სტრეპტო-სტაფილოკოკური);

3. პერიფერიული ნერვული სისტემის გაცივებითი—რევმატული ხასიათის დაავადება (ნეირომიოზიტი, რადიკულალგია, პლექსალგია, ბშიალგია და ა. შ.);

4. პერიფერიული ნერვული სისტემის ტრავმული, ინფექციური და ინტოქსიკაციური ხასიათის დაზიანების ნარჩენი მოვლენების ყველა შემთხვევა.

## IV. კანის დაავადებანი

1. ეგზემა ქრონიკული, დისჰიდროზული, პროფესიული, სებორეული;
2. ფსორიაზი;
3. ნევროდერმიტი;
4. კანის ქავილი;
5. ქრონიკული პიოდერმიტები;
6. წითელი ბრტყელი ლიქენი;
7. სკლეროდერმია.

## V. ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი

1. კოლპიტი, ცერვიციტი, ვულვიტი, მეტროენდომეტრიტი, პერიადნექსიტი, ადნექსიტი, პარამეტრიტი, პელვეოპერიტონიტი;
2. ოპერაციისშემდგომი ნაწიბურები, ინფილტრატები, შეხორცებანი;
3. კლიმაქსური სინდრომი;
4. საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითება და უშვილობა.

## VI. ქრონიკული კონიუნქტივიტი, ბლეფარიტი.

## VII. ბუასილი, პროსტატიტები.

## წინააღმდეგჩვენებანი



1. ყველა დაავადება მწვავე პერიოდში,
2. გულის დაავადებანი დეკომპენსაციის სტადიაში,
3. ტუბერკულოზი ყველა ორგანოსი და ყველა სახის,
4. თირკმლების დაავადებანი (გარდა კენჭოვანისა),
5. ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებანი,
6. ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადებანი,
7. ეპილეფსია, ფსიქოზები, ისტერია, ფსიქასთენია,
8. ორსულობა მეორე ნახევარში,
9. ავთვისებიანი სიმსივნეები.

---

# კურორტის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები

ცაიში თავისი მინერალური წყლებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ხნიდან იპყრობდა მოსახლეობისა და ჯანდაცვის ორგანოების ყურადღებას, მაგრამ კურორტის განვითარება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც იგი კეთილმოუწყობელ, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტად რჩებოდა.

ცაიშის ზრდა-განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ჰიპერთერმული წყლის აღმოჩენამ. ამ დროიდან უკვე დაიწყეს მის კეთილმოწყობაზე ზრუნვა.

ამჟამად კურორტზე მოქმედებს ხის პრიმიტიულად მოწყობილი სააბაზანო შენობა 40 აბაზანით; კურორტზე გახსნილია პანსიონატი (კვებით) 100 საწოლით; პოლიკლინიკა თერაპიული, დერმატოლოგიური, გინეკოლოგიური, რენტგენის და სხვ. კაბინეტებით, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიით და ფიზიოთერაპიული კაბინეტით. მოწყობილია კლუბი 200 ადგილით, ბიბლიოთეკა, კურორტი რადიოფიცირებულია. არაორგანიზებული ავადმყოფებისათვის გახსნილია სასადილო, პროდუქტებისა და მინერალური წყლების სავაჭრო კიოსკი და სხვ.

ჰიპერთერმული წყლის აღმოჩენის შემდეგ ამ კურორტზე უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ჩამოდიან ავადმყოფები, რის გამოც ამჟამად არსებული ჯერ კიდევ პრიმიტიულად მოწყობილი სააბაზანო და სხვა დაწესებულებანი ვეღარ აკმაყოფილებენ ავადმყოფთა მოთხოვნებს. აქ მოქმედი 40 აბაზანის მეშვეობით, ორი ცვლით მუშაობის პერიოდში ყოველდღიურად ტარდება 800—1000 პროცედურა.

ავადმყოფები, რომლებიც კურორტზე საგზურით ჩამოდიან, თავსდებიან პანსიონატში; ხოლო ისინი, რომლებსაც საკურსე აქვთ,

ამ სოფლის კოლმეურნეთა სახლებში ღებულობენ ბინებს, რის მეოხებითაც აქ ერთდროულად შესაძლებელია ახლომახლო ოჯახებში 1500—2000 კაცი მოთავსდეს.

კურორტზე გაშლილია ფართო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. გენერალური გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის დასამთავრებლად. ამ გეგმის მიხედვით პირველი რიგის სამუშაოებისათვის უნდა დაიხარჯოს 17 მილიონი მანეთი, მთავრდება თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი სააბაზანოსა და პანსიონატის ორი კორპუსის მშენებლობა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა უახლოეს დროში. ამ ობიექტების მშენებლობის დამთავრების შემდეგ კურორტს ექნება კეთილმოწყობილი სააბაზანო შენობა და საცხოვრებელი კორპუსები მკურნალობისათვის საჭირო კაბინეტებით.

სააბაზანოს ექნება ინდივიდუალური კაბინები, სამკურნალო ფიზკულტურის აუზი, გინეკოლოგიური და რექტალური, სუბაქვალური და ოთხკამერიანი აბაზანები, სხვადასხვა სახის შხაპები, საინჰალაციო კაბინეტი და სხვ. ორ კორპუსში გაიხსნება პანსიონატი 200—250 საწოლზე, სასადილოთი, კლუბ-ბიბლიოთეკით და საექიმო კაბინეტებით.

კურორტის მშენებლობის გენერალური გეგმის მიხედვით უნდა აშენდეს სანატორიუმი, პოლიკლინიკა, სასტუმრო და სხვა დამხმარე ნაგებობანი. გათვალისწინებულია მოეწყოს ლამაზი პარკები, სკვერები და გაზონები, გამწვანდეს სააბაზანოს ეზო და მთელი კურორტის ტერიტორია.

პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია, რომ კურორტის ქვემო ზონაში გადაიღობოს მდინარე ჯუმი, რის შედეგადაც აიწევს მისი დონე (ამის საშუალებას იძლევა მდინარის მაღალი კალაპოტი). ამ მდინარეში ისევ მოშენდება ამჟამად მასში თითქმის განადგურებული სხვადასხვა ძვირფასი ჯიშის თევზები; აღნიშნულ მდინარეზე 1,5—2 კმ მანძილზე მოეწყობა სანაოსნო და სათევზაო ადგილი, რაც კიდევ უფრო დაამშვენებს კურორტს და გააუმჯობესებს ავადმყოფთა გართობისა და კულტურული დასვენების საქმეს.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს კურორტზე დაწყებული ობიექტების — სააბაზანოს, პანსიონატის 2 კორპუსის, კვების ბლოკის, წყალსადენი-კანალიზაციის, ელექტროგადამცემი ხ-



ცაიში. პანსიონატის შენობა.

ცაიშის ტაძარი (XIII საუკ.)

ზის — მშენებლობის დასამთავრებლად და უახლოეს ხანში კურორტს ექნება პირველი რიგის კეთილმოწყობილი ობიექტები.

რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო საკუთარი სახსრებით ააგოს კეთილმოწყობილი სანატორიუმი, რომლის მშენებლობაც მიმდინარე წლიდან დაიწყება.

როგორც ცნობილია, ცაიშის „ახალი“ ჰიპერთერმული (ორივე ჭაბურღილის) წყლის დებიტი 3,1 მილიონ ლიტრამდეა დღე-ღამეში. აქედან დღემდე სამკურნალოდ გამოყენებულია № 1 ჭაბურღილის წყლის ნაწილი, ხოლო დანარჩენი იღვრება მდინარე ჯუმში. რასაკვირველია, კურორტის ობიექტების მშენებლობის შემდეგ ეს წყალი მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ხალხის საკეთილდღეოდ.

ცაიშის „ძველი“ გოგირდწყალბადიანი მინერალური წყალი ამოდის დედამიწის ზედა ფენებში (3—4 მეტრი) გაკეთებული აუზებიდან. ამ წყლის დებიტი დღე-ღამეში 60—80 ათას ლიტრს არ აღემატება. ამ წყლების ამოსვლის რაიონში განზრახულია ჩატარდეს ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები (ბურღვები), რის შედეგადაც, ფიქრობენ, რომ გაიზრდება ამ წყლის დებიტი და შესაძლებელია მისი ტემპერატურა (50—200 მეტრის სიღრმეზე) 24-დან გადიდდეს 35—37°-მდე. გამორიცხული არაა, რომ გოგირდწყალბადის შემცველობა, რომელიც ამჟამად უდრის 15—25 მგ-ს ლიტრში, გაიზარდოს უფრო მეტად.

ამრიგად, ცაიში უახლოეს ხანში გახდება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი კურორტი, რომელსაც დიდი პერსპექტივა და შესაძლებლობანი აქვს.

ჰიპერთერმული წყლის ნაწილი შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული კომუნალურ და სოფლის მეურნეობაში. ამ წყლის საშუალებით შესაძლებელია ზამთრის პერიოდში სათბურეების მოწყობა ბოსტნეული კულტურებისათვის, რომელიც არათუ ადგილობრივ, არამედ მეზობელი რაიონებისა და ქალაქების მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს.

ბუნებრივი ცხელი წყალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კურორტის ობიექტების და ბინების გათბობისათვის, რითაც მინიმუმამდე დაიყვანება საწვავის ხარჯვა და ცაიში — უკვამლო კურორტი — კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება მშრომელებისათვის.

---

# უახლოესი საექსკურსიო ადგილები

ზოგიერთების აზრით, კურორტზე მკურნალობისა და გამოჯანმრთელებისათვის საჭიროა უფრო მეტი დრო გაატარო წოლასა და უმოძრაოდ ყოფნაში.

უნდა ვიცოდეთ, რომ უმოძრაოდ ყოფნა დაავადებულ ორგანიზმში იწვევს პირობითრეფლექსური კავშირის მოშლას და ყველა ორგანოსა და სისტემის ფუნქციის დარღვევას. სიმშვიდე საჭიროა ამა თუ იმ დაავადების მწვავე პერიოდში, ხოლო მისი ჩათავების შემდეგ აუცილებელია სხვა სამკურნალო ფაქტორებთან ერთად სამედიცინო ჩვენებებისდა მიხედვით გამოყენებულ იქნას აქტიური მოძრაობითი რეჟიმი.

ფიზიკური მოძრაობის შედეგად მაღლდება თავის ტვინის ქერქის აგზნებადობის ფუნქცია, ნორმალიზდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე პროცესები, უმჯობესდება სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, საყრდენ-სამოძრაო და სხვა ორგანოებისა და ქსოვილების მუშაობა, რასაც დიდი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს.

აქტიური დასვენების ერთ-ერთი წარმტაცი და მიმზიდველი სახე, რომელსაც კურორტზე სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფები მასობრივად ეტანებიან, არის ექსკურსიები.

ექსკურსიები ამაღლებს ადამიანის კულტურას, აღრმავებს ცოდნას, აახლოებს პიროვნებებს, გვაცნობს ამა თუ იმ მხარის ისტორიულ წარსულს, მის ღირსშესანიშნაობებს, თანამედროვე მიღწევებს და სხვ. ამით ძლიერდება სასიცოცხლო პროცესები და მკურნალობით მიღებული შედეგები ხდება უფრო მყარი.

ცაიშში და მის ახლომახლო მიდამოებში მრავალი საინტერესო საექსკურსიო ადგილია.

კურორტის მარჯვენა მხარეს — აღმოსავლეთით, ურთას მთის

კალთებზე მოთავსებულია შუა საუკუნეების ერთ-ერთი საინტერესო არქიტექტურული კომპლექსი ცაიშის ტაძარი, რომელსაც ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. აქ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე XIII საუკუნეში აუგიათ გუმბათიანი ტაძარი, რომელიც 1614 წელს მიწისძვრას თითქმის მთლიანად დაუნგრევია; მაგრამ იგი 1616—1619 წლებში აღუდგენიათ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს და ცაიშელ-ჯუმათელ ეპისკოპოსს მალაქია გურიელს; ამ კათედრიდან თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა ქრისტიანული სარწმუნოება და სწავლა-განათლება. აი ამის შესახებ რას წერს ერთ-ერთი მიმომხილველი გაზეთ „მწყემსში“:

„უწინდელ დროში ცაიშში იყო საეპარქიო კათედრა. ცაიშელი მიტროპოლიტებისაგან ვრცელდებოდა და ითესებოდა ღვთის სიტყვა, სჯული და სარწმუნოება მთელს ოდიშში და სამურზაყანოში. ამ დროებში ცაიშში ჰყვაოდა სწავლა-განათლება, აქ იყო სასწავლებელი, სადაც ღებულობდნენ სწავლა-განათლებას აქაურნი თავადაზნაურნი, სამღვდელონი და გლეხობა; დღესაც ბლომად არიან სასულიერო პირნი, რომელთაც მიუღიათ განათლება ცაიშის სობოროში“ *.

ამ ტაძრის დათვალიერებით მნახველი ეცნობა შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურას და ჩვენი ხალხის კულტურას.

ტაძრის გვერდით დგას ქვიტკირის პატარა სახლი, რომელიც მრავალი საგულისხმო და მნიშვნელოვანი ფაქტის მოწმეა ჩვენი ცხოვრების წარსული კულტურიდან. ეს ის სახლია, სადაც დაიბადა, დავაჟკაცდა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მიხეილის-ძე მეუნარგია; ეს ის სახლია, რომლის ხშირი სტუმრები იყვნენ ეკატერინე და დავით დადიანები, რაფიელ ერისთავი, კორნელ ბოროზდინი.

1885 წელს ამ სახლს ეწვია დიდი ილია, რომელიც ჩამოვიდა სამეგრელოში დავით დადიანის შვილის ნიკოლოზის მიერ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკის გადაცემასთან დაკავშირებით. მან რამდენიმე დღე დაჰყო ზუგდიდსა და ცაიშში და ამ კუთხის ხალხის მისწრაფებებით აღტაცებულმა დიდმა მოაზროვნემ გულ-

---

* გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 8.

წრფელად წარმოთქვა: „სამეგრელოში ვიყავი და საქართველო ვნახეო“.

ამ სახლში სტუმრად იყვნენ ავსტრიელი მწერლები ცოლ-ქმარი ბერტა და არტურ სუტნერები და ფრანგი ჟ. მურიე, რომელიც უკანასკნელ რედაქციას უკეთებდა ი. მეუნარგიას მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს.

ამ ოჯახის სასურველი სტუმრები იყვნენ გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი, ცნობილი რუსი პოეტი კ. ბალმონტი, ნ. მარი, თ. სახოკია, ე. თაყაიშვილი და სხვ.

სამწუხაროდ, დღემდე ეს სახლი დაკეტილია და თითქმის მივიწყებული. სასურველი იქნებოდა აქ იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმის გახსნა, რომელსაც დიდი ინტერესით დაათვალიერებდა ყოველი კულტურული ადამიანი.

იონა მეუნარგია დასაფლავებულია ამ სახლის გვერდით მდებარე ზემოაღწერილ ცაიშის ტაძარში (1919 წ.).

ურთას მთის გაგრძელებაზე მდებარეობს ისტორიული ძეგლი „ჯეგეთა“. 1613 წელს მიწისძვრის შედეგად ჯეგეთას წმინდა გიორგის ეკლესია დანგრეულა, მაგრამ იგი ისევ აღუდგენიათ და ერთერთ პოპულარულ სამლოცველოდ გამხდარა ამ კუთხის მოსახლეობისათვის.

ჯეგეთას მთის ფერდობზე სამი გამოქვაბულია, რომელიც დღემდე სათანადოდ არ არის აღწერილი და შესწავლას საჭიროებს. ჯეგეთას ეკლესიის წარწერა, რომელიც ამჟამად ზუგდიდის მუზეუმშია გადმოტანილი, მოგვითხრობს, რომ აქ მთელი წლის განმავლობაში მძვინვარე მიწისძვრამ დაანგრია როგორც ცაიშის, ასევე ჯეგეთას მეზობელი ეკლესიები და სახლები.

ურთას მთაზე, გამოქვაბულში ნაპოვნია 300 ათასი წლის წინადროინდელი ადამიანის ნამოსახლარი, რომლის მაკეტი პირველყოფილი ადამიანის ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად გამოფენილია ქ. ფოთის მუზეუმში.

საინტერესოა ურთას მთის ფლორა. ამ მთის კალთებზე შეხვდებით ძვირფასი ჯიშის მცენარეებს — კეთილშობილ დაფნას და ციტრუსოვანთა ტყეებს, ხეხილს, ბაღებს; მის მწვერვალზე და ზეგანზე — საცობის საექსპლოატაციო ხეებს. ამ მთის კალთებზე ხარობს ვენა-

ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ



სოფ. რუხი (ზუგდიდის რაიონი). რუხის ციხის ნანგრევები (XIII საუკ.).

ხის ადგილობრივი ჯიში „იზაბელა“, რომელიც საუკეთესო ყურძენს და სუფრის ღვინოს იძლევა.

ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით კურორტიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქალაქი ზუგდიდი.

ზუგდიდს სამასზე მეტი წლის ისტორია აქვს. მას თავის შრომაში ასე იხსენიებს ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი: „დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი. სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე გოდლიანი“.

ზუგდიდში ყურადღებას იპყრობს მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია ჩვენი კუთხისა და რაიონის ისტორიული წარსულის, ეკონომიკის, კულტურისა და განვითარების ამსახველი ექსპონატები და დოკუმენტები. აქვეა ზუგდიდის ცნობილი ბოტანიკური ბაღი, რომელსაც 200-ზე მეტი წლის ისტორია აქვს.

ამ ბაღის გაშენება-გამშვენიერებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით დავით დადიანსა და მის მეუღლეს ეკატერინე ჭავჭავაძეს.

ეკატერინე ჭავჭავაძის ინიციატივით აქ მოწვეული ყოფილა ტრიესტელი სპეციალისტი ჟოზეფ ბაბინი.

ამ ბაღს როგორც შესანიშნავს და მომაჯადოებელს იხსენიებენ და აღწერილი აქვთ მ. ბროსეს, ა. მურავიოვს, კ. ბოროზდინს, რ. ერისთავს.

1855 წელს ოკუპაციიდან უკან დახევის დროს თურქეთის ჯარების მეთაურის ისკანდერ-ფაშას ბრძანებით ზუგდიდი გადაწვეს და მთელი ბაღი გაჩეხეს. 1860 წელს ეკატერინე ჭავჭავაძის მოწვევით ამ პარკის ისევ აღსადგენად იტალიიდან ჩამოდიან სპეციალისტები ძმები გაეტანო და ჯიოვანო ზამბერლეტები, რომლებმაც უფრო კარგი სახით აღადგინეს იგი. თვით ისინი კი საცხოვრებლად სამუდამოდ დარჩნენ ზუგდიდში.

ზუგდიდი პატარა დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. მიუხედავად მრავალი ცდისა, მეფის თვითმპყრობელობის დროს მას შესამჩნევი ზრდა არ განუცდია. ეს ის ზუგდიდია, რომლის შესახებაც რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I წერდა: „ეს ადგილი მინახავს და ვეჭვობ აქ როდისმე გაშენდეს ქალაქი, რადგან იქაურობა ხავსსა და ჭაობშია“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზუგდიდმა სრულიად იცვალა სახე. 1932 წლის 25 თებერვალს ზუგდიდში დამტკიცდა საქალაქო საბჭო და დღემდე ყოველწლიურად ფართოვდება და იზრდება ეს ქალაქი და მისი სოფლები. ამჟამად ქალაქის მოსახლეობა 31 ათასამდეა. ქალაქს აქვს მრავალი საშუალო სკოლა, ტექნიკუმები, საავადმყოფო, თეატრი, კინო, სასტუმრო და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები.

ზუგდიდში არის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ ძვირფასი კულტურების მოვლა-დამუშავებისა და მათი ნაყოფიერების შემდგომი გადიდების შესასწავლად.

ზუგდიდში მრავალი ფაბრიკა-ქარხანა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოა (საკონსერვო, საგრენაჟო, ღვინისა და კონიაკის ქარხნები, ჩაის ფაბრიკები, ჩაის საწნეხი ფაბრიკა და ა. შ.).

ქალაქიდან 4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ამიერკავკასიაში ერთადერთი — ინგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი. ძლიერ საინტერესოა მერქნის გადამუშავებისა და ქაღალდის მიღების პროცესი, რომელსაც კურორტზე სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფები დიდი ინტერესით ეცნობიან.

სოხუმის გზაზე (ზუგდიდიდან 7 კილომეტრი) მდინარე ენგურის ნაპირას დარჩენილია რუხის ისტორიული ციხის ნანგრევები (XIII საუკუნე). აქვეა რაიონში ერთ-ერთი მოწინავე — რუხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ დამსვენებლებს შეუძლიათ დაათვალიერონ ამ კოლმეურნეობის უხვმოსავლიანი ჩაის პლანტაციები თავისი სარწყავი გაყვანილობით, სანიმუშოდ მოწყობილი მეცხოველეობის ფერმები და სხვ.

კურორტიდან 5—10 კილომეტრის დაშორებით დამსვენებლებმა შეიძლება დაათვალიერონ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ფაბრიკები, საკონსერვო ქარხანა და სხვ.

უახლოესი საექსკურსიო ადგილებია კურორტი მენჯი (30 კილომეტრი), ქუთაისი, წყალტუბო (100 კილომეტრი), სოხუმი, გულრიფში (110 კილომეტრი).

კურორტიდან 40 კილომეტრის მანძილზე, გაივლით რა მდინარე

მაგანაზე ე. წ. „ჯაჭვის ხიდს“, თქვენს წინ გადაიშლება შესანიშნავი სანახაობა — სვანეთის თვალუწვდენელი და მომხიბლავი მწვანით შემოსილი მთები, გატიტვლებული კლდეები, მუდამ ყინულითა და თოვლით დაფარული გოლიათი მწვერვალები.

ამრიგად, ცაიშში ყველა ბუნებრივი პირობა არსებობს იმისათვის, რომ ადამიანმა იმკურნალოს, დაისვენოს, გამოიწრთოს ორგანიზმი და მიიღოს ესთეტიკური სიამოვნება. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას და შრომისუნარიანობის ამაღლებას.

---

## ლიტერატურა

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ვ. — აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941 წ.

გ ო ბ ე ჩ ი ა ბ. — კურორტი ლებარდე. საქმედგამი, თბილისი, 1955 წ.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. თბილისი, 1947 წ., ტომი 1.

თ უ ზ ბ ა ი ა გ. — კურორტი ცაიში. ჟურნ. „საბჭოთა მედიცინა", თბილისი, 1957 წ., № 5.

თ უ ზ ბ ა ი ა გ., ყ უ ფ უ ნ ი ა მ., ბ ო ხ უ ა თ. — კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მკურნალობა ცაიშის ჰიპერთერმული წყლით. ჟურნ. „საბჭოთა მედიცინა", თბილისი, 1958 წ., № 4.

მ უ ჯ ი რ ი ი. — ცაიშის მინერალური წყარო. სახ. ჯანმრთ. კომისარიატის „მოამბე", თბილისი, 1925 წ., № 1—3.

ნ ა კ ა შ ი ძ ე ნ. — მოგონებანი. საბლიტგამი, თბილისი, 1956 წ.

ნ ო დ ი ა მ. — ზოგადი ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია. საქმედგამი, თბილისი, 1955 წ.

რ ო გ ა ვ ა ა. — კურორტი ცაიში (შთაბეჭდილებანი). ჟურნ. „საბჭოთა მედიცინა", თბილისი, 1940 წ., № 7—8.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე გ. — ხელოვნური გეიზერები კოლხიდაში. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", თბილისი, 1957 წ., № 8.

ც ა ი შ ვ ი ლ ი ს. — ზუგდიდის ნაკრძალი. ჟურნ. „დროშა", თბილისი, 1955 წ., № 9.

ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი. — ბალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში. თბილისი, 1935 წ.

Герсамия В. С. — Менджи. Грузмедгиз, 1947 г.

Джавахишвили Д. В. — Курорты ССР Грузии. Госиздат Грузии, 1933 г.

Курорты Прикарпатья. Под редакцией проф. Т. Глухенького и проф. Я. Склярова. Изд. Львовского государств. универ. 1957 г.

Мгеладзе Г. Д. — Бальнеологический курорт. Госизд. ГССР, Тбилиси, 1956 г.

Микеладзе Г. А. — Цхалтубо. Грузмедгиз, Тбилиси, 1937 г.

Методические основы комплексного лечения на курорте Сочи-Мацеста. Под редакцией проф. М. М. Шикова, Краснодарское книжное издательство, 1958 г.

Нодия М. Н. — Курорты и дачные места Тбилиси. Грузмедгиз, Тбилиси, 1954 г.

Сочи — Всесоюзная здравница. Краснодарское книжное издат., 1954 г. Под общей редакцией проф. М. М. Шихова.

Тареев Е. М. — Внутренние болезни. Медгиз, Москва, 1957 г.

Филиппенко И. — Ходиженские минеральные воды. Краснодарское книжное издат., 1958 г.

Хаин В. Е. — Геология и полезные ископаемые Кавказа. Издательство „Знание", Москва, 1958 г.

Цитланадзе Г. В. — Курорт Цхалтубо. Грузмедгиз, Тбилиси, 1955 г.

Черноморское побережье. Под редакцией К. Елиашвили, Тбилиси, 1956 г.

---

# შ ი ნ ა ა რ ს ი



**Тузбая Георгий Платонович**

КУРОРТ ЦАИШИ

(На грузинском языке)

Государственное издательство
„Сабчота Сакартвело"
Тбилиси
1960